სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 იანვარი 2004 №17 (2036) ფასი 50 თეთრი

ჯაიჰრნიც! ბუნდესყურადღება ხიზანიშვილისთვის

ბადრი კეკელიძის ფოტოები

„გლაზგო რეინჯერსის“ ქართველ მცველს, ზურაბ ხიზანიშვილს თვალი „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „ჩელსიმ“ და „იუვენტუსმა“ რომ დაადგეს, უკვე გაუწყეთ. ახლა კი უახლესი ინფორმაცია: ვაჭრობა უკვე დაწყებულია — ზურა იმ გუნდში გადავა, რომელიც უფრო მეტ ფულს გამოვა.

კლუბებს შორის ოფიციალური მოლაპარაკება ჯერ არ გამართულა, თუმც ბევრიც არაფერი უკლია. მაგრამ ინგლისურ და იტალიურ გრანდებს ვინძლო სხვაც შეეცილოს — ხიზანიშვილით მიუნხენის „ბაიერნიც“ დაინტერესებულა — გლაზგოში თურმე ასეთ ამბავსაც გაიგებთ. მოკლედ, „მანჩესტერი“, „იუვენტუსი“, „ჩელსი“ და „ბაიერნი“ ხიზანიშვილისთვის...



REUTERS მელბურნიდან

დედა-კაცია ადამიანი

ოზთა უოზებოდ დარჩენილმა ოუფენმა ბოლო ეტაპებზე დაიწყო რჩეულ მეჩოგნეთა ფანტვა. თუმცა ცხრა ზღვისიქიდან მოსულმა ჯანიანმა ბიჭებმა ჰიუიტი და ფილიპუსისი მერვეედფინალებიდან განდევნეს, ტრიბუნებს მაინც არ აკლდება ხალხი, ხალხს კი არ აკლია სანახაობა — კაცთა ამქრის ამჟამინდელმა პირველოსანმა ენდი როდიკმა და მისი ადგილის ყოფილმა პატრონმა მარატ საფინმა ლამის სამნახევარსაათიანი განდაგანა მისთავაზეს მელბურნის პუბლიკას. საფინმა გაიმარჯვა და მეორე ამერიკელთან, როდიკზე ლამის ორჯერ უხნეს და ათასგზის გამოცდილ ანდრე აგასისთან შეჩოგნების უფლება მოიპოვა. ხოლო ქალებში უკვე ნახევარფინალშია ჭინკა პირველოსანი ჟუსტინ ენენარდენი, ვისი მეტოქეც კოლუმბიელი ფაბიოლა სულუაგა იქნება. ამ გოგონამ სულ მუქთად გაიარა ურთულესი მეტოქე — ფრანგმა ქალკაცა ამელი მორესმომ მუხთალი ტრავმის გამო საერთოდ ვერ გაუწია პარტნიორობა მეტოქეს და ასე უცაბედად კვანტდადებულმა კაცივით ჯანიანმა გოგომ დახეთ, რა ქალურად იტირა.

თოფ!ტრანსფერი



უფრო მეტი, ვიდრე მაჯაი, რონალდინიო, ბექემი არსენალმა რეიესი იყიდა

რუსული დეტექტივი: დარასელია .....ში

ვიტალი დარასელიას ტრანსფერის საქმე დეტექტივივით ჩაიხლართა. ესენგეს თასზე ჩინებულად მოთამაშე დარასელია თბილისში არ ჩამოსულა. „დინამოში“ წამყვან მოსკოვურ კლუბებზე მიგვანიშნეს. ასეთები კი „ლოკომოტივი“, ცსკა, „სპარტაკი“ და „დინამო“ არიან. მოსკოვის „ლოკომოტივში“ მიხეილ აშვეთიას შევეხმიანეთ და მისგან ცალსახა პასუხი მივიღეთ, დარასელია მოსკოვში თუ იყო, ესეც არ ვიცოდი და მხოლოდ თქვენგან გავიგე, ვიტალი ჩვენს გუნდში არ გამოჩენილა, მასზე საუბარი მაინც რომ ყოფილიყო, აუცილებლად გავიგებდიო...

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

ცსკა-ში შეკითხვაზე მოკლედ და კონკრეტულად გვიპასუხეს — ჩვენი კლუბის დაკომპლექტება დასრულდა და დარასელიას გვარი ჩვენს სატრანსფერო ნუსხაში არ ფიგურირებს.

მოსკოვის „სპარტაკის“ პრესატაშემ ალექსეი ზინინმა კი აი, რა გვიპასუხა:

— ამ ტრანსფერის შესახებ არაფერი მსმენია, თავად ასეთი ფეხბურთელიც არ გამიგონია.

— როგორ, ვიტალი დარასელიას სახელი არაფერს გაუბნებათ?

— არა, სხვანაირად გამიგეთ, დარასელიას სახელი როგორ არ გამიგონია, ვიცი, რომ დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მისი შვილის შესახებ არაფერი ვიცი.

— ესე იგი, ვიტალი დარასელია „სპარტაკში“ არ ისინჯება?

— მერწმუნეთ, არა. კონტრაქტის პირობებს არ გაგიმხელდით, მაგრამ სინჯებზე მყოფ ფეხბურთელს ნამდვილად არ დავმალავდი.

ბოლო იმედად მოსკოვის „დინამო“ რჩებოდა, თუმცა სანუგეშო ვერც იქ შევიტყვეთ. კლუბის პრესატაშე ალექსანდ ლვოვი გუნდთან ერთად ესპანეთში აღმოჩნდა და ტრანსფერის შესახებ არაფერი იცოდა. თუმც გვანუგეშა, მოსკოვში დარჩენილი კლუბის უფროსობა რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერზე მუშაობს და ისინი დაგეხმარებიანო.

მოსკოვის „დინამოს“ სპორტულმა დირექტორმა გერმან მანევიჩმა კი შემდეგი გვითხრა:

— ძირითადი გუნდი ესპანეთში ემზადება, აქ კი მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერზე ვმუშაობთ.

ლაპარაკია, როგორც ჩვენგან წამსვლელ მოთამაშეებზე, ასევე ახალწვეულებზეც. გეცოდინებათ, რომ ბულიკინით პრემიერლიგის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

— ეს ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ ვიტალი დარასელიას ბედი გვაინტერესებს. განიხილება თუ არა იგი „დინამოს“ ფეხბურთელად.

— არა.

— ვიცით, რომ მისით თქვენი კლუბი იყო დაინტერესებული...

— მე ვერაფერს გეტყვით. დარასელია არც ჩვენს ბაზაზეა და არც მასთან კონტრაქტზეა საუბარი. მომიტევეთ, მაგრამ მეტს ვერაფერს გეტყვით.

ერთი სიტყვით, დარასელიას თემა ცნობილი ქართული სიმღერის „სულიკოს“ მოტივებით ვითარდება. თუმცა მოსკოვის „დინამოდან“ არცთუ დასაბუთებული უარი გვაფიქრებინებს, რომ ვიტალი სწორედ რომ ამ მოსკოვურ კლუბში იმყოფება. გამორიცხული, ცხადია, არც სხვა, არამოსკოვური კლუბებია.

დავით ერაძე

უკვე უნიონის სირაძე ჰერტასაც მოეწონა

მურად ფილეფანაშვილის ფოტო

მეორე ბუნდესლიგურ ბერლინის „უნიონში“ გასინჯვაზე მყოფი ქართველი ნახევარმცველი დავით სირაძე გერმანელებს თვალში მოუვიდათ. თბილისური „ლოკომოტივის“ კაპიტანმა „უნიონის“ თავკაცი მიროსლავ ვოტავა პოლონურ „ვიძევთან“ ამხანაგურ მატჩში საბოლოოდ დაარწმუნა საკუთარ შესაძლებლობებში. სირაძე მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, როცა ბერლინელები 0:1 აგებდნენ, თუმც ჩვენებურის აქტიური გარჯით 4:1 მოიგეს. ნამატჩევს კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრს კონტრაქტის პირობებზე დაელაპარაკნენ. სირაძე „უნიონში“ 24-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ქართველ ფეხბურთელზე ყურადღება გერმანულმა გამოცემა „კიკერმაც“ გაამახვილა. ჟურნალის ცნობით, „უნიონს“ ახალი ფეხბურთელების შესაძენად 180 ათასი ევრო ჰქონდა გამოყოფილი. მიროსლავ ვოტავამ მოსალოდნელ ტრანსფერებზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „ვფიქრობ, დავით სირაძისა და თომას ბრუსკოს გადმოსაბირებლად 180 ათასი ევრო სავსებით საკმარის თანხაა. ეს ფეხბურთელები „უნიონს“ გამოადგებიან.“

შეგახსენებთ, რომ სირაძე „უნიონში“ მაისის ბოლომდე განათხოვრებით ითამაშებს. „ლოკომოტივმა“ მის გაყიდვაზე თავიდანვე განაცხადა უარი.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „უნიონ“ — „ვიძევის“ მატჩს ბერლინის „ჰერტას“ წარმომადგენლებიც ადევნებდნენ თვალს და სამი ფეხბურთელი გამოარჩიეს — სამუელ იპუა, თომას ბრუსკო და დავით სირაძე. ასე რომ, გამორიცხული არაა, მაისის შემდეგ ქართველი ფეხბურთელი სხვა, გაცილებით მაღალი დონის კლუბშიც ვიხილოთ.

კახა შალამბერიძე

ორი დღეც და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე ჯგუფს თავის ყალენდარი ექნება. ჩვენი ჯგუფის ბობოლებისთვის გადამწყვეტი ეგებ არც იყოს ყალენდრის საბოლოო სახე, მაგრამ ისეთთათვის, როგორიც საქართველო, ალბანეთი და თუნდაც ყაზახეთია, საყალენდრო ყიევურ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ალექსანდრ ლოგინოვის ფოტო

საქართველო და ყაზახეთი ბერგერმა გააერთიანა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ნაკრების მწვრთნელის მოსაზრების გაუთვალისწინებლად ჩადის მოლაპარაკებაზე, რადგან საქართველოს ნაკრებს დღესდღეობით მწვრთნელი არ ჰყავს. ჩოლარიამ გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ კიევში გამორჩევით სამ საკითხზე იქნება პრინციპული და შეუვალი — საქართველო პირველ ორ და ბოლო ორ მატჩს გასვლაზე არ ითამაშებს და პირველ ორ შეხვედრაში თურქეთს და ალბანეთს არ შეხვდება. ჩოლარიას ასევე სურს, „ჯვაროსნებმა“ წლეულს ზაფხულში და გაისად თებერვალში იუქმონ. გენერალური მდივნის ასეთი მოსაზრების მიზეზი ის გახლავთ, რომ ზაფხულში საქართველოს ნაკრებს ამხანაგური მატჩები აქვს დაგეგმილი ესტონეთთან და ლამის მარად მეტოქე მოლდოვასთან (მოლდოვას აქამდე ხუთჯერ შევხვედრივართ).

მიუხედავად ჩოლარიას დიდი სურვილისა, საეჭვოა, საქართველო შემოდგომიდან ჩაებას შესარჩევში. მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენი ჯგუფი შვიდწევრიანია და ფიფასეულ გრაფიკში ჩასაჯდომად ნებისმიერ ვარიანტში ზაფხულში ორი ტური მაინც დაიგეგმება და გამორიცხულია ამ ორივე ტურში საქართველოს უქმობა.

სფფ-ის გენერალურ მდივანს ერთი გამოკვეთილი პოზიციაც აქვს. ჩოლარიას სურს, მოლაპარაკების დაწყებამდე კენჭი უყაროონ კალენდრის ფიფასეულ ვარიანტს, ეგრეთ წოდებულ ბერგერის მოდელს.

ფიფამ მსოფლიო შესარჩევის კენჭისყრის შემდეგ ყველა ფედერაციას გაუგზავნა „ბერგერის მოდელი“. ყოველივე კი იმიტომ გაკეთდა, რომ კალენდრის შემუშავებისას შეუთანხმებლობის შემთხვევაში სწორედ ფიფასეულ კალენდრით მოუწევთ ნაკრებებს თამაში.

რას ითვალისწინებს „ბერგერის მოდელი“?

ფიფას ჯგუფის წევრები დანომრილი ჰყავს და კალენდრის პირველ ტურში პირველი ნომერი ბოლოს შეხვდება შინ, მეორე ბოლოსწინას, მესამე — მეხუთეს, მეოთხე კი პირველ ტურში ისვენებს.

სწორედ ამ ნომრებზე კენჭისყრა სურს მოლაპარაკების დასაწყისში ჩოლარიას, რადგან მოლაპარაკების პროცესზე გავლენა მოახდინოს კენჭისყრის შედეგმა.

„ბერგერის მოდელის“ მომხრეა ყაზახეთიც. ყაზახებმა გუშინ ოფიციალურად განაცხადეს ამის შესახებ, საკარაუდოდ, ამ მოსაზრებას ალბანეთიც დაუჭერს მხარს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველოს, ყაზახეთსა და ალბანეთს სხვა თანაჯგუფელებთან შედარებით მსოფლიოს ჩემპიონატზე გაღწევის ნაკლები შანსი აქვთ და. ბუნებრივია, კენჭისყრის შემდეგ კალენდარზე მოლაპარაკებისას გარკვეული მანიპულაციების საშუალება ექნებათ.

მოკლედ, ჩოლარია მარტო არ იქნება კიევურ შეხვედრაზე, თუმც მოლაპარაკებისას უპირატესობა მაინც ბობოლებისკენ იქნება. უკრაინა, თურქეთი, დანია და საბერძნეთი, ბუნებრივია, სათავისოდ ეცდებიან.

კენჭისყრის ბედს შვიდეული ხვალინდელ მოსამზადებელ შეხვედრაზე გადაწყვეტს.

პაატა კვანტალიანი

ინგლისი

II დივიზიონი
გადადებული მატჩები

ბარნსლი 3:0 ბლეკპული

ბრისტოლი 1:0 კოლჩესტერი

პორტ ვეილი 2:5 ჰარტლპული

ტრანმერი 3:2 სტოკპორტი

III დივიზიონი
გადადებული მატჩები

სკანთორპი 0:0 მენსფილდი

კიდერმინსტერი : ჩელტენჰემ გადაიდო

საუთენდი 0:0 იორკი

ლიგის თასი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

ასტონ ვილა 2:0 პოლტონი (2:5)

აფრიკის თასი

D ჯგუფი. I ტური

ნიგერია 0:1 მაროკო

სამხრეთ აფრიკა 2:0 ბენინი

საფრანგეთი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

მეცი 1:1 მარსელი

...და როცა და როჩა მიდიოდა, დინამო მოდიოდა

ჯარლოსი ჯვიჰროსს და ოჯახს ელის

შარშან შეკრებაზე დაგვიანებისთვის ივო შუშაკმა „დინამოს" ბრაზილიელი ლეგიონერი ჯარლოს ალბერტო და როჩა დასაჯა. მას რამდენიმე მატჩი სათადარიგოთა სკამზე მოუწია ჯდომამ. მოსკოვში, ესენგეს თასზე ჯარლოსი ისევ თადარიგის მოთამაშედ მოგვევლინა. „დინამოს" ძირითადის მოთამაშეს ჯგუფურ ტურნირში ჩატარებული ორი და ერთიც მეოთხედფინალური მატჩი აქტივში ნამდვილად არ ჩაეთვლება. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ბრაზილიელი ძირითადად 65 წუთის შემდეგ ერთვებოდა თამაშში, ანუ მაშინ, როდესაც დინამოელებს საქმე უკვე მოთავებული ჰქონდათ.

მოსკოვიდან დაბრუნებულმა ბრაზილიელმა ლეგიონერმა თბილისის აეროპორტში სამბაც წაიცეკვა...



ბადრი ძლიერიშვილის ფოტო

და როჩები მალე ისევ ერთად იქნებიან

— როგორ დაისვენე საშობაო არდადეგებზე?

— შობა ბრაზილიაში მართლაც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საყვარელი დღესასწაულია. ძირითადად ოჯახში ვხვდებით, თუმცა სტუმრობაც ძალიან გვიყვარს. ამ დროს ერთმანეთს ვასაჩუქრებთ.

ბადრი ძლიერიშვილის ფოტო

სან პაულუში, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობს, სუპერმარკეტში ცხვირს ვერ შეყოფ, ყველა საჩუქრის შეძენას ჩქარობს და დიდი ფუსფუსია. ჩემი ყველაზე დიდი საჩუქარი კი ექვსი თვის უნახავ ცოლ-შვილთან ყოფნა იყო. კარლოს ჯუნიორი წუთითაც არ მშორდებოდა და სულ გაიძახოდა, მამა, აღარ წახვიდეო. თბილისში ახლა ცივა, ბრაზილიაში კი მშვენიერი სითბოა, თუმცა საღამოს მაინც გრილა. ვნახოთ, გაზაფხულისთვის ოჯახის ჩამოყვანაც მინდა. თანაც, როდესაც ოჯახი ჩემთანაა, თავს გაცილებით მშვიდად და კარგად ვგრძნობ, რაც ჩემს თამაშსაც ეტყობა.

— მოსკოვის მანეჟში ხეირიანად არც გითამაშია, რით ახსნი ამას?

— ალბათ, გახსოვთ, წინა სეზონში ტრავმა მივიღე. როდესაც ის საბოლოოდ მოვიშუშე, სეზონი დასრულდა კიდეც. ამიტომ ფორმაში შესვლას ვინ ჩივის, ფიზიკური კონდიციებიც ვერ აღვიდგინე. ბრაზილიაში კი ვვარჯიშობდი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მოსკოვში ჩასვლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩემი თანაგუნდელები უკეთეს ფორმაში იყვნენ და ამიტომ მათ უნდა ეთამაშათ. ასეთი რამ ფეხბურთში ხშირია. ეგ არაფერი, წინ კვიპროსული შეკრებაა გველის და იქ საბოლოოდ აღვიდგენ სათამაშო ფორმას.

— ტრავმა რომ არა, ხელოვნურსაფარიანი მოედანი პრობლემებს არ შეგიქმნიდა?

— ხელოვნური საფარი ჩემთვის იდეალური ნამდვილად არაა. ის უფრო ანელებს სირბილს, რაც ჩემთვის დამატებითი კოზირის ჩამორთმევაა. თუმცა ფეხბურთელი იმიტომ გქვია, რომ ნებისმიერ მინდორს უნდა აუღო ალღო. ჩემი უთამაშებლობა უფრო ტრავმების ბრალია.

— თავად ტურნირზე რა შთაბეჭდილება შეგექმნა?

— ძალიან კარგი და [illegible]ბელო ტურნირი იყო. „დინამოსთან" ერთად უკვე მესამე ტიტული მოვიპოვე და ძალიან მოხარული ვარ. ჯგუფში „ტკიტოს" გადა ამკარად „სუსტი" შეხვედრები გვქონდა, თუმცა „დინამომ" შერეც ერთი თავით აჯობა კონკურენტებს და ღირსეულად გაიმარჯვა.

— მოსკოვის ტურნირზე არაერთი ბრაზილიელი თამაშობდა, რომელიმე მათგანს ხომ არ იცნობდი?

— მარტო „შერიფს" ოთხი ბრაზილიელი ჰყავდა, მაგრამ არც ერთს არ ვიცნობდი. თუმცა ჩემი ნაცნობი ბრაზილიელი მაინც ვნახე. ის მოსკოვის „დინამოში" თამაშობს და ჩვენს ყველა მატჩს ესწრებოდა. მე და ლუის ალბერტო ჯერ კიდევ „იტუანოში" ვთამაშობდით.

— მოგიწონა თანაკლუბელების თამაში?

— ჩვენები ძალიან მოეწონა და „დინამოს" ტურნირის ნათელ წერტილსაც უწოდებდა. ალბერტო მოსკოვის „დინამოს" თავდამსხმელია. მან მითხრა, თქვენს გუნდს იმდენად ძლიერი თავდასხმა ჰყავს, ძირითადში მოხვედრა გამიჭირდებოდაო.

— „შერიფთან" დინამოელები პროვოკაციას აჰყვნენ და იჩხუბეს, შენც წახვედი თანამემამულეების წინააღმდეგ?

— არა, საერთოდ, კონფლიქტური არ ვარ და არც ჩხუბი მიყვარს. მე ძირითადად გამშველებელი ვიყავი.

— ესენგეს თასზე რომელი დინამოელი მოგეწონა?

— ჩვენი გუნდის თამაშში ბევრი სიახლე შევნიშნე და მთლიანად გუნდს დავასახელებდი საუკეთესოდ. თუმცა ალექსიძე და დარასელია მაინც გამოირჩეოდნენ.

დავით ერაძე

ფულის ამბავი

უკვე ორი კვირაა, ჩემპიონატისთვის ემზადება ბოლნისური „სიონი". გუნდის თავკაცი გიორგი ყიფშიძე სავარჯიშოდ იპოდრომსა და დიდუბის მანეჟს უნაცვლებს ერთმანეთს. „სიონმა" ორი ამხანაგური მატჩიც ითამაშა, ჯერ „ავაზას" მოუგო 3:0, გუშინ კი უმაღლესლიგელი „მცხეთაც" დაამარცხა. ბოლნისელებმა „დინამოს" სათადარიგო მოედანზე 3:1 იმარჯვეს

ვურამ დოლიძეს-ბელის ფოტო

გიორგი ყიფშიძე

„სიონი" უკვე ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა, რიცაც შარშანდელი ბირთვი, ფაქტობრივად, განახევრდა. ალექსანდრე კოშკაძე „ტორპედოში" მოეწყო, ვალტერ გუჩუა ირანში გადაბარგდა. ორიოდე დღის წინ მასვე შეუერთდა აქვსენტი გილაურიც. დავით ჭიჭვეიშვილი და მეგოლე ბორის გონჩაროვი კიევურ „არსენალში" ისინჯებიან, გიორგი გაბიდაური კი კვიპროსზე გადაბარგდა და იქაური გუნდებისთვის ცდილობს თავის მოწონებას.

ამათ შემცვლელებად ბოლნისელებს ჯერჯერობით მხოლოდ ალექსანდრე ბურნაძე და შოთა ჩომახიძე ეგულებათ. ბურნაძე ბოლოს ყაზახურ „ჟეტისუში" თამაშობდა და კლუბთან ხელშეკრულება დაუმთავრდა. ყავლი გაუვიდა ჩომახიძისა და სიმფეროპოლის „ტავრიას" კონტრაქტსაც. მოკლედ, ამათ „სიონში" სათამაშოდ ხელს არაფერი უშლით და საამისო სურვილიც აქვთ, თუმც ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული — ბოლნისელებს ახალწვეულთა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ. კლუბში კი მეპატრონეთა სიტყვას ელიან. გიორგი ყიფშიძის თქმით, ბოლნისის ახალი გამგებელი დავით ჭიჭიკოშვილი პრეზიდენტის ინაუგურაციას უცდიდა...

— ჭიჭიკოშვილთან ყველაფერზე შეთანხმებული ვართ, დახმარებას და გვერდში დგომას დაგვპირდა. პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ გადაწყდება, დარჩება თუ არა ბოლნისის დროებითი გამგებელი თავის თანამდებობაზე. თუ დარჩა, ბუნებრივია, ბურნაძეს და ჩომახიძეს დავიმატებთ, გვეყოლება სხვა ახალწვეულებიც — გვითხრა „სიონის" მწვრთნელმა გუშინდელი საუბრისას.

უსახსრობის გამო „სიონს" სხვა პრობლემებიც აქვს. გუნდში მხოლოდ ორი მწვრთნელია, არ არის ექიმი, მასაჟისტი და, რაც მთავარია, არ ხერხდება ხეირიანი შეკრების მოწყობა.

პაატა კვანტალიანი

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

გროზნიმ სილაგაძეს ჩალაძე დააბარა

ორიოდ თვის წინ ყაზანის „რუბინიდან" აბარგებული ქართველი მცველი ლევან სილაგაძე შეგვიძლია, უკვე კიევის „არსენალის" ფეხბურთელად ჩავთვალოთ. სილაგაძე დღე-დღეზე გააფორმებს კონტრაქტს უკრაინელებთან. „არსენალის" მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი ჩვენებურის მზადყოფნით კმაყოფილი დარჩა და პირობებზეც მალე შეუთანხმდა. ახლა სილაგაძე თბილისშია, სამ დღეში კიევს მიაშურებს, ახალ კლუბთან კონტრაქტს ხელს მოაწერს და გუნდს თურქულ შეკრებაზე წაჰყვება.

ლევან სილაგაძეს გუშინ გავესაუბრეთ...

— უკვე არსენალელი ვარ, ამ ამბავს წყალი არ გაუვა. 31 იანვარს კიევში ჩავალ და ალბათ მეორე დღეს ოფიციალურად გავაფორმებ კონტრაქტს.

— რამდენწლიანია კონტრაქტი?

— ან ერთწლიანს გავაფორმებ ან 1+1 წლიანს. გააჩნია, როგორ მოვილაპარაკებთ. ვფიქრობ, ეს დიდი პრობლემა არ არის.

— არადა, ამ დროს შენი ყოფილი კლუბი „რუბინი" ელისტის „ურალანს" გაურიგდა და ტრანსფერი თითქმის გაგიჩარხა...

— „ურალანთან" მართლაც ყველაფერი გარკვეული იყო. კონტრაქტზე ხელის მოწერადა აკლდა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, რუსეთის პირველ ლიგაში თამაში ნაღდად არ მხიბლავდა. ეს ჩემთვის აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. სხვათა შორის, ასევე მოიქცა დავით ჩალაძეც. „ურალანს" ხომ მისი წაყვანაც სურდა.

— გული არ გწყდება „რუბინიდან" რომ წახვედი?

— არანაირად. ფინანსურადაც და პირობებითაც „არსენალი" თუ არ აღემატება „რუბინს", არც ჩამორჩება. ერთადერთი, რაზეც შეიძლება კაცმა დაიწუწუნოს, ისაა, რომ რუსეთის ჩემპიონატი შედარებით მაღალი დონისაა, ვიდრე უკრაინის. სხვა პრობლემა არ არსებობს. მწვრთნელიც საკმაოდ კარგი გვყავს და გუნდიც ერთერთი საუკეთესოა უკრაინაში.

— გროზნის ქართველებისადმი კეთილგანწყობაზე ლამის ლეგენდები დადის...

— ქართველები ამ კაცს მართლაც უყვარს. თავად დავრწმუნდი, რომ ძალიან დიდ პატივს გვცემს.

— ჰოდა, „არსენალში" ჩალაძის წაყვანაც სდომებია...

— ჩალაძეზე გროზნიმ რამდენჯერმე მთხოვა, იქნებ დაითანხმო და ჩვენთან გადმოვიდესო. ერთი სიტყვით, ყველაფერი დათოს გადასაწყვეტია. თუ ის „არსენალში" გადასვლას დათანხმდება, ხელგაშლილი დახვდებიან.

— ირაკლი ვაშაკიძის და ბორის გონჩაროვის საქმე როგორ იქნება?

— ეს ბიჭები გუნდს მეორე შეკრებაზეც გაჰყვებიან. ვფიქრობ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. გროზნის რომელიმე რომ არ მოსწონდეს, პირდაპირ ეტყოდა უარს.

— თურქეთში პირველი შეკრებისას გუნდს ადრე დაშორდი...

— ჩემი ბრალი არ იყო. თურქეთში ქართველებს მხოლოდ ორკვირიან ვიზას აძლევენ. ამიტომაც დავბრუნდი საქართველოში.

— ახლაც ხომ თურქეთში მიდიხართ?

— დიახ, თან სამი კვირით. ალბათ ორი კვირის შემდეგ საზღვარზე გადმოვალ, ახალ ვიზას გავაკეთებ და მერე ისევ გუნდს შევუერთდები. სხვა გზა არ ჩანს.

— ბოლოს ტრავმა გაწუხებდა...

— თურქეთში ამტკივდა კუნთი, მაგრამ უკვე მოვირჩინე. რამდენიმედღიანი დასვენება უნდოდა, ახლა ჯანზე ვარ.

— „არსენალში" რომ ითამაშებ, ალბათ ნაკრებში დაბრუნების იმედიც გექნება...

— რა თქმა უნდა, აქ არ ვარ? ნაკრებში თამაში ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო. ძალიან მინდა, ჩვენი ქვეყნის გუნდს შევეშველო. აქვე „სარბიელის" სახელით თბილისის „დინამოს" ესენგეს თასის მოგებას მივულოცავ. კარგა ხანია, ქართველებს ღირებული არაფერი მოგვიგია, თან ვიცი, მოსკოვში თამაში რასაც ნიშნავს ჩვენთვის. ყველა დინამოელს და ყველა ქართველს ვულოცავ ამ წარმატებას.

ძახა შალამბერიძე

ბადრი ჯიელაძის ფოტო

ლევან სილაგაძემ (მარჯვნივ) „ურალანი" არ იკადრა და არსენალელი გახდა

ბოლი

ერეკლე ბიბლიოთეკა

მეშა და ქურდები

მეთიუ კანინგემი ინგლისელი გახლავთ. ხელობა ამ კაცისა არის კომპიუტერიან მაგიდასთან ჯდომა, ცაციათი მაუსის ცეცება და წერა. მეთიუ ახლა უმეტესწილად თბილისში ცხოვრობს, სადაც უმეტესწილად სნობებითა და ფილისტერებითაა გარშემორტყმული — ეს, უბრალოდ, ასე ჩანს — ამბობს მეთიუ და ამაზე ბევრს არ ფიქრობს. მეთიუ თბილისურ პოშ-სასტავებში მიღებული კაცია, მაგრამ სულაც არ უყვარს აქაური პოშტუსოვკები. მეთიუს უყვარს ფეხბურთი და სიგარეტი. ჩიბუხები ოთახში ბლომად ულაგია, თუმც არომატულ თუთუნს იქ იშვიათად თუ ჩატენის და მოწევს. მისი საყვარელი სიგარეტი ფრანგულია — უფილტრო „ჟიტანი", მაგრამ სულ იმ სიგარეტს ექაჩება, რასაც ჩვენი ხალხი.

მეთიუს არ უყვარს ინტერვიუები, თუმც ძალიან ხათრიანი კაცია და უხამსი მადონას საბავშვო წიგნებიც კი ათარგმნინეს. მაგრამ მეთიუსთან მე ინტერვიუსთვის არ მივსულვარ — ფეხბურთზე სალაყბოდ მოვაცდინე. ფეხბურთი ინგლისშიც ალბათ თავისებური დაპირისპირებაა — ჩამოვაგდე სიტყვა და გავიტრუნე.

— ადრე ფეხბურთი ჩვენთან მშრომელთა კლასის თამაში იყო, ახლა კი მატჩზე ოჯახებით დადიან, ბებიები და შვილიშვილები ერთად მიდიან თამაშზე. ძველად კი, ვთქვათ, ლუთონში ასე ვერ გაიზმორებოდი — „ლუთონ თაუნის" თამაშებზე ჩხუბი ხშირი იყო. თუ სხვაგან გაჰყვებოდი „ლუთონ თაუნს", შენი საყვარელი გუნდის ფეხბურთელს უნდა ეზრუნა შენზე — წესიერად თუ მოიქცეოდა სტუმრად, იქაური გულშემატკივრებისგან ცემასაც ასცდებოდი. მთავრობის, ფეხბურთის მესვეურებისა და კლუბების სწორი პოლიტიკა — ამან შეცვალა ყველაფერი და ასეც უნდა იყოს — ფეხბურთი მხოლოდ ქუჩის ბიჭების საყურებელი თამაში როდია.

— და ახლა ფეხბურთი მხოლოდ პროლეტარიატის აღარაა?

— ლონდონში ფეხბურთი ყველასია, ლონდონის გარეთ კი ისევ მშრომელთა კლასის.

— ეგ როგორ?

— ლონდონს მიღმა ახლა სულ მშრომელი ხალხი ცხოვრობს, სხვანაირები იქ ცოტანი არიან.

— ყველა არალონდონელი გოიმია?

— განსხვავება ლონდონელსა და პროვინციელს შორის მართლაც არის — ლონდონელი შორიდანვე იცნობა. როი კინის ავტობიოგრაფიული წიგნი არ წაგიკითხავთ?! კინი თავის პირველ მანჩესტერულ ვარჯიშს რომ იხსენებს, წერს, ტედი შერინგემი ალისფერი სპორტული მანქანით მოქანდა, ისე იყო გამოწყობილ-გამოპრანჭული, რომ მისი ლონდონელობა მყისვე ვიგუმანეო.

მეთიუ თბილისში სამოცდაათიანი წლების ტიპია — ასეთია მისი თხრობა, ქცევა და მანერები. თუმც წერით სულ სხვანაირად წერს, მოკლედ, ძველიცაა და თან დროულიც. თბილისურ ოფისში სიგარეტს მოურიდებლად აბოლებს და ეს მაშინ, როცა ლონდონური ოფისებიდან მოსაწევად ქუჩაში გადიან — თქვენთან ეგეთი ქვეყანაა — ასე იმართლებს თავს მეთიუ.

— „ბექზი" ლონდონელია და მხოლოდ მას შეუძლია იყოს ასეთი — მცირე პაუზა და ლაყბობა მეთიუმ გაანახლა.

— ჯორჯ ბესტი სულაც არაა ლონდონელი, მაგრამ „ბექზზე" ნაკლები პოშ-ტიპი იყო?

— მაგრამ ბესტი საუკეთესოა — სწორედ გამონაკლისები ადასტურებენ წესს.

— პროვინციელობაც თქვენი თავისებური წესია?

— ლი ბოიერი ხომ გაგიგიათ? ეს ბიჭი ისტ ენდიდან არის და ინგლისსაც ამ პროვინციაში სურს ოლიმპიური თამაშების ჩატარება. ისტ ენდში კი არის ძველი უბანი ძველი მენტალიტეტით — ბოიერიც იქიდანაა, პოპლარიდან. ბოიერმა და მისმა ძმაბიჭმა ჯონათან ვუდგეიტმა იმიტომ სცემეს პაკისტანელ სტუდენტს, რომ პოპლარელები არიან — ზანგებსა და მურთხებს ვერ იტანენ. იცით, რატომ დაშორდა ვუდგეიტი ოდინდელ გელფრენდს? იმიტომ, რომ იმ გოგოს ბებია ჰყოლია ინდოელი.

ამის შემდეგ კი უკვე გავთამამდი და მეთიუს ინტერვიული შეკითხვაც დავუსვი.

— როგორც ფიქრობთ, საქართველოშიც არის დაპირისპირება თბილისელებსა და პროვინციელებს შორის?

— როგორც ვხვდები, თქვენთან სულ სხვაგვარადაა საქმე. საბჭოთა ერაში „დინამო" ყველა დანარჩენ ქართულ გუნდზე მაღლა იდგა. დამოუკიდებლობის შემდეგაც „დინამო" ათი წელი სულ უგებდა მათ. „დინამო" ახლაც ყველას ჯობია, მაგრამ საერთაშორისო იმიჯი და გამოცდილება აღარ აქვს, რაც „დინამოს" მსგავს გუნდებს რუსეთსა და უკრაინაში შეუნარჩუნეს. საფეხბურთო დაპირისპირება ცენტრსა და პროვინციებს შორის თქვენთან ალბათ არაა გამოკვეთილი, თქვენი შიდა საფეხბურთო ისტორია ჯერაც ნედლია. ჩვენთან კი, მაგალითისთვის, „სანდერლენდ" — „ნიუკასლის" დაპირისპირება ავიღოთ — ეს ჩრდილოაღმოსავლური დერბია უძველესი ტრადიციებით — სანდერლენდი და ნიუკასლი ერთმანეთთან ახლოსაა და მათ გუნდებსაც ხშირად უწევდათ რკენა — დაპირისპირება ხშირი თამაშით იქმნება.

რახან მეთიუმ „დინამოზე" რაღაცეები გაუბერა, დაპირისპირების თემას გავუყევი და...

— ინგლისი — გერმანიაც დიდი დაპირისპირებაა და, სხვათა შორის, გერმანიის ნაკრებს თქვენთან შეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვს...

— მერე რა?! ერთ მშვენიერ დღეს ფეხბურთი დაიწყო და ის არ მთავრდება. ფეხბურთი ბალანსი არ არის, ფეხბურთი ერთი დღის, ერთი დღის განწყობის თამაშია.

— ადრე მითხარით, საქართველო პროვინციული ქვეყანაა და სანამ ასეთად იქნებით, რუსებს ფეხბურთში ვერ მოუგებთო. თუმც ჩვენმა ნაკრებმა თბილისში შეძლო რუსების დამარცხება...

— რუსებს რომ მოუგეთ, კარგია, მაგრამ ამან ის არ მოიტანა, რაც გსურთ — რუსებს ფეხბურთში მაინც ვერ აჯობეთ, ისინი პორტუგალიაში აღმოჩნდნენ, თქვენ ბოლო ადგილზე. თბილისური მატჩი რუსებთან წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით დიდი ვერაფერი თამაში იყო, თუმც თქვენი ფეხბურთელებისთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გამოდგა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მეთიუ ზოგადად ხალისიანი კაცია მარილიანი ღიმილით და ხანდახან გაბრაზებს. მას ძალიან უყვარს თავის ოფისში ქართული საინფორმაციო ტელეპროგრამების ყურება. ამას განსაკუთრებით ნაახალწლევს მიეძალა. მიშა და ქურდები — ეს მეთიუს უახლესი ქართული ფავორიტი ფრაზათაგანია.

მაგრამ მეთიუ მოქნილია, ვერ გადატეხავ.

ჯანყი მიუნხენში
სამხრეთული შეტევა მაკაიზე



კლაუდიო პიზარო როი მაკაის აუჯანყდა

მიუნხენის „ბაიერნი“ ანარქიამ მოიცვა. ის, რაც ბუნდესლიგის ფავორიტის და მსოფლიოში სახელგანთქმული გუნდის სამზარეულოში ხდება, არაფრით შეესაბამება გერმანულ პუნქტუალობას და სიმშვიდეს. დაუძინებელ მტერთან, მადრიდის „რეალთან“ საჩემპიონთალიგო ჯახამდე ერთი თვით ადრე ბავარიულ კლუბში ომი გაჩაღდა.

მაშ ასე — ბარიკადების ერთ მხარეს ცეცხლოვან-სამხრეთამერიკული ბრიგადაა პერუელი პიზაროსა და პარაგვაელი სანტა კრუზის შემადგენლობით, მეორე მხარეს კი ნიდერლანდელი გოლეადორი როი მაკაი. მიზეზი ამ პატივცემული ბატონების დანასისხლად გადაკიდებისა (რაც უეჭველია მიუნხენელი გულშემატკივრის ნერვებზე „საამოდ“ მოქმედებს) გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, თავად „ბაიერნის“ მაესტრო ჰერ ოტმარ ჰიცფელდი.

საქმე ისაა, რომ გერმანული ფლაგმანის ესპანურენოვანი რაინდები ჰიცფელდს მაკაისადმი გადამეტებულ სიმპათიაში ადანაშაულებენ. ისინი თავის წილ სათამაშო დროს, აღიარებასა და პატივისცემას მოითხოვენ. „ვერაფერი გამიგია. მე და პიზაროს მეტოქეთა კარში გოლები გაგვაქვს, მწვრთნელი კი მაინც სათადარიგო სკამზე გვსვამს“ — გულისწყრომით აღნიშნა სანტა კრუზმა პრესასთან შეხვედრისას. ფიცხი პარაგვაელი იმ ეპიზოდში მავანი კირკიტა ჟურნალისტის ბოროტმა ცნობამ (ჰიცფელდმა გვითხრა, მაკაი შეუცვლელიაო) გადარია, მაგრამ „ბაიერნში“ რომ საგოლე დაპირისპირება დიდი ხანია არსებობს, საქვეყნოდ ცნობილია.

როი მაკაიმ მეტოქეთა გოლკიპერები ამ სეზონში 17-ჯერ დააწიოკა, (10 ბუნდესლიგაში, 5 ჩემპიონთა ლიგაზე და 2 ქვეყნის თასზე), კლაუდიო პიზარომ — 10-ჯერ და როკე სანტა კრუზმა ოდენ 6-ჯერ. სამხრეთელთა აზრით, ბავარიულ წინახაზში მხოლოდ ექსდეპორტივოელის დანახვა (მიუხედავად მისი მაღალშედეგიანობისა) ვერაფერი გულისგასახარი ამბავია. „ჩვენ ორივეს შეგვიძლია მაღალ დონეზე ბურთაობა, ზედმეტს ხომ არ ვითხოვთ, სათამაშო წუთების გაზრდა გვსურს“ — უთხრა „ბილდის“ კორესპონდენტს კლაუდიო პიზარომ.

აჯანყებულები ჰიცფელდის ჰოლანდიურ გატაცებას ასე თუ ისე საფუძვლიანად ასაბუთებენ — შარშან ზაფხულს სწორედ ჰერ ოტომ „მოატაცებინა“ მაკაი „დეპორიდან“ 20 მილიონ ევროდ, გამომდინარე აქედან, როი დამრიგებლის აღიარებული ფავორიტი გახდა.

ომი მოკავშირეთა გარეშე ვის გაუგია და განაწყენებულმა ლათინოსებმაც თანაგუნდელებს შორის ბლომად მონახეს ქომაგები. საერთო ესპანურენოვან-რომანულმა ფალანგმა ბასკი ლიზარაზუ, არგენტინელი დემიკელისი, ბრაზილიელი ზე რობერტო და ბოსნიელი სალიჰამიჯიჩი გააერთიანა (სლავია, მაგრამ ცოლი ესპანელი ჰყავს), ისე, მაკიმაც უწყის კასტილიურის გალისიური დიალექტი, თუმცა მეგოლემ მეამბოხეებთან მეგობრობას საბოლოო წერტილი ოლივერ კანის ბანაკში გადასვლით დაუსვა.

სანამ მაკაი კანის მძლეთამძლე ტორის ქვეშ სამხრეთელებისგან თავდასაცავად მიძვრებოდა, უფმური ხასიათის მქონე ერთ დროს სწორუპოვრი კარცერბერი მიხაელ ბალაკს დაეტაკა. „მას ლიდერის თვისებები საერთოდ არა აქვს და კინაღამ დაგვღუპა — ბალაკის უნიათო ბურთაობის გამო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან გავარდნას ძლივს გადავურჩით“ — თქვა ოლიმ და ექსლევერკუზენელს მიუნხენიდან წასვლა ურჩია. მანაც ბებერ ვეფხვს უმალ უპასუხა: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ „ბაიერნის“ წარუმატებლობა ოდენ ბალაკის ბრალია, ძალიან ცდება. მე აქ საყვედურების მოსასმენად არ მოვსულვარ. სხვათა შორის, ნებისმიერი გერმანული და უცხოური გუნდი დიდი სიხარულით მიმიღებს“.

ოლივერ კანს მიხაელ ბალაკი თვალში ეპატარავა

მიუნხენის საზარ კოშმარს მცირედი ნუგეში მაინც ახლავს — გუნდში სებასტიან დაისლერი ბრუნდება. თუმც სიმართლეს ვინ გაექცევა და ეს ნუგეშიც მერყევია. 24 წლის დაისლერმა უკვე მოასწრო ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტობა (მძიმე დეპრესია ტანჯავდა) და საუკეთესო სპორტულ ფორმაში ჩადგომას ალბათ კარგა ხანს ვერ მოახერხებს. დასასრულ კი ისევ „ბილდს“ მოვუსმინოთ: გუნდი პრაქტიკულად დაშლილია, სამხრეთამერიკულ თუ სხვა ათას ჯანდაბა სექტორად დაყოფილი. შეძლებს კი ჰიცფელდი „რეალის“ დამარცხებას?

ლადო ხომერიკი

რეიესის რეისი
სევილია-ლონდონი

ლონდონის „არსენალი“ შარშან ზაფხულიდან „სევილიას“ ხოსე ანტონიო რეიესზე ევაჭრებოდა. ესპანურ კლუბს რამდენჯერმე შესთავაზეს სხვადასხვა ოდენობის თანხა, მაგრამ „სევილიას“ პრეზიდენტს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა 20 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ დასახელებული ფასი.



არსენ ვენგერმა ალბათ რაღაც განსაკუთრებული ნახა ყმაწვილ მოთამაშეში, რადგან არ მოეშვა და აგერ, გუშინ, ლონდონელებმა საბოლოოდ შეძლეს ესპანელების დაყაბულება, რადგან ტრანსფერზე შეთანხმდნენ — ხოსე ანტონიო რეიესი „მეთოფე“ გახდა.

„ესპანეთის საუკეთესო გუნდიდან ინგლისის საუკეთესო გუნდში გადავდივარ“ — თქვა თავად ფეხბურთელმა.

სევილიელები არ ამბობენ თუ რამდენი ევროთი გაიმდიდრეს სალარო გარიგების შედეგად.

კლუბის პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ ასეთი გამოცანა გამოაცხო: „ჩვენ ადრევე ვთქვით, რომ რეიესს იმ ფასზე ნაკლებად არ გავყიდით, რაც ღირს. გეტყვით მხოლოდ ერთს: ლონდონელები გვაძლევენ გაცილებით მეტს, ვიდრე „ბაიერნმა“ როი მაკაის, გნებავთ, „ბარსელონამ“ რონალდინიოს, ან თუნდაც „რეალმა“ დეივიდ ბექემის სანაცვლოდ გადაიხადა“.

ახლა თქვენ გამოიცანით, რამდენი დაუჯდა „არსენალს“ 20 წლის ფორვარდი, ინგლისური მედიის ვარაუდით კი სატრანსფერო თანხა 20 მილიონი გირვანქაა.

ვაჟა ხუციშვილი

ჯონ მანიე ალექს ფერგიუსონს ავიწროვებსო

ფერგის მხარდასაჭერად

„მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა დღეს გამოაცხადეს, რომ საცხენოსნო მაგნატები და კლუბის მთავარი მეწილეები ჯონ მანიე და პიჯეი მაკმანუსი „ბინძური ილეთების კამპანიას“ აწარმოებენ მენეჯერ ალექს ფერგიუსონის წინააღმდეგ.

გულშემატკივართა ასოციაციის ხმამაღალი განცხადებით, სერ ალექსის ცხოვრებისა და საქმის გამოძიებას მანიესაგან დაქირავებული კერძო ბიუროს მიერ „პირადი შურისძიების“ სარჩული უდევს, რაზან ირლანდიელ მილიარდერს და „მანჩესტერის“ მენეჯერს შორის სასამართლო დავაა ცხენ „როკ ოვ ჯიბრალტარის“ გამო.

ინგლისური მედიის ცნობით, მანიესა და მაკმანუსის მიერ შეყოვნებული ფერგიუსონის ახალი კონტრაქტი ამ კვირაში გაფორმდება. „გარდიანის“ მოწმობით, კონტრაქტი ერთწლიანი იქნება და არა სამწლიანი, როგორც ეს მოლაპარაკებული იყო. ერთწლიან კონტრაქტს მენეჯერის გასაწვალებლად სწორედ მანიე და მაკმანუსი ითხოვენ. „ტაიმსის“ აზრით, ირლანდიური წყვილი მანამდე არ მოისვენებს, სანამ სერ ალექსს კლუბიდან არ განდევნის.

მოწამვლის ქრონოლოგია

ეგორ ტიტოვის საქმეში ახალი დეტალები გაჩნდა. პირადად ფეხბურთელმა არა, მაგრამ ფეხბურთის კლუბმა „სპარტაკმა“ გუშინ უეფას აუწყა, ექვსი დღის ვადაში საჩივარს წერილობით გაახლებთო. თავის მხრივ უელსელები ხელებს იფშვნეტენ, რუსეთის ნაკრები ევრო 2004-დან უნდა მოიკვეთოს და ადგილი დაგვითმოსო. უელსელთა არგუმენტი ასეთია: ეგორ ტიტოვს 19 ნოემბერს კარდიფში თამაშისას უპირატესობა ჰქონდა, რადგან ბრომანტანის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდაო.

მომხდარში მთავარ დამნაშავედ „სპარტაკის“ ყოფილ მწვრთნელ ანდრეი ჩერნიშოვს ასახელებენ. იმავდროულად ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ჩერნიშოვი დიდი „ალქიმიკოსი“ ვინმე ყოფილა და „სპარტაკში“ მისვლისას დამქაში, ექიმი ანატოლი შჩუკინი მიიყვანა, რომელსაც წამლობაში დიდად დახელოვნებულ კაცად იცნობენ.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვიც ამ საქმეში ყელამდე ჩაფლული აღმოჩნდა. კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ეგორ ტიტოვის ამბავი მიჩქმალა, არადა, დოპინგ-ტესტის შედეგი მან დეკემბრის დასაწისშივე იცოდა. უეფამ ამის შესახებ რუსებს ფალეევე აცნობა, მაგრამ კოლოსკოვმა არ გათქვა. ფეხბურთელს კი მალულად შეატყობინა, განმეორებით B ტესტის გავლას გთავაზობენო. ტიტოვმა იუარა, რა დოპინგი, ანგელოზი ვარ, არასოდეს მიმიღიაო.

აღსანიშნავია, რომ უეფასგან დისკვალიფიკაციის გამოცხადების (23 იანვარი) შემდეგ ფეხბურთელმა ბურთი ააგდო და თავი შეუშვირა, საჯაროდ თქვა B ტესტის თაობაზე არავის არაფერი უთქვამსო.

ვიაჩესლავ კოლოსკოვმა მოგვიანებით საქვეყნოდ თავად აღიარა, მოსკოვის „სპარტაკის“ ექიმი გუნდის მოთამაშეებს აკრძალული წამლებით ანებივრებდაო.

სწორედ ამიტომ იყო, რომ „სპარტაკის“ ფეხბურთელებს რუსეთის ნაკრების რამდენიმე მატჩში განაცხადში შეყვანაც არ აღირსეს. ამბავში თვით კავშირის პრეზიდენტი იყო გარეული. მან იცოდა, რომ სპარტაკელები წამლებით იყენენ გაჭყეპილნი და შარს მოერიდა.

თუ ასეა, როგორ მოხდა ეგორ ტიტოვი შემადგენლობაში 15 ნოემბერს, რუსეთ-უელსის მატჩის წინ? რუსმა ექიმებმა ფეხბურთელი თურმე 11-ში შეამოწმეს და მათი თქმით, იგი სუფთა იყო. ბედის ირონიით, დოპინგზე შესამოწმებელთა შორის 15 ნოემბერს თამაშის შემდეგ აღმოჩნდა ტიტოვი, რომელმაც 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, შემდეგ კარდიფში კი სულ 60 წუთი ითამაშა.

მოკლედ, რუსი ფეხბურთელი სუფთა ეგონათ, მაგრამ, ასე ვთქვათ, არ დააზღვიეს. ტესტმა დადებითი პასუხი მისცა და კოლოსკოვისთვის ეს დეკემბერის დასაწყისშივე უკვე ცნობილი იყო.

ქვემოთ ქრონოლოგიურად გთავაზობთ ამბავს, რომელიც ეგორ ტიტოვს გადახდა.

2003 წლის 17 ივლისი

მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელად ანდრეი ჩერნიშოვი დანიშნეს. თავისი სამწვრთნელო კარიერის დასაბამშივე იცნობდნენ, როგორც ნაირგვარ წამლებით ფეხბურთელების მკვებავს. გუნდში იახლა „ტორპედო-მეტალურგის“ დასტაქარი ანატოლი შჩუკინი.

1 სექტემბერი

უეფამ აკრძალული პრეპარატთა სიაში შეიტანა ბრომანტანი, რომელიც ტიტოვს სისხლში აღმოაჩნდა, თუმც, „სპარტაკის“ ექიმის, კატულინის ვერსიით, ეს ანტიგრიპოზული წამლის რემანტადინის მიღებამ გამოიწვია.

5-6 სექტემბერი

ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებული „სპარტაკის“ ფეხბურთელები (ტიტოვი — ეროვნულში, პავლიუჩენკო, ბელოზეროვი და პავლენკო — ახალგაზრდულში) განაცხადში არ შეჰყავთ. ლიდერთა არყოფნაში 21-წლამდელებმა ირლანდიასთან წააგეს და ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგეს.

9-10 სექტემბერი

ახალგაზრდულ ნაკრებში შვეიცარიის წინააღმდეგ მოედანზე პავლიუჩენკო და პავლენკო გამოჩნდნენ. ტიტოვი იარცევმა არ ათამაშა.

11 სექტემბერი

ჩერნიშოვი „სპარტაკიდან“ დაითხოვეს. მისი გაძევება მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის უთანხმოებას მოჰყვა. ეს ოფიციალური ვერსიაა, სინამდვილეში კი აი რა მოხდა: გუნდის რამდენიმე მოთამაშემ კლუბის პატრონს წერილობით შესჩივლა, მწვრთნელი და მისი დასტაქარი რაღაც წამლებს გვაყლაპებენ, ყელზე გვადგას, აღარ შეგვიძლიაო. ჩერნიშოვს უკან მიჰყვა ექიმი შჩუკინი. მეორე ექიმი არტემ კატულინი (ამ კაცმა დაალევინა ტიტოვს რემანტადინი) პრეზიდენტ ჩერვიჩენკოსთან საუბრის შემდეგ დატოვეს.

15 ნოემბერი

უელსის წინააღმდეგ პირველ საპლეიოფო მატჩში, რომელიც მოსკოვში გაიმართა, ეგორ ტიტოვმა 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მაგრამ შეხვედრის შემდეგ წილისყრამ დოპინგტესტზე მისი შემოწმება ინება.

19 ნოემბერი

კარდიფში, საპასუხო მატჩში ტიტოვმა 60 წუთი ითამაშა და შემდეგ შეცვალეს.

დეკემბერი

A ტესტის ანალიზმა ფეხბურთელის სისხლში ბრომანტანის არსებობა დაადასტურა. „სპარტაკი“ და რუსეთის საფეხბურთო კავშირში დაფრთხნენ (ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბრომანტანი „სპარტაკის“ არაერთ სხვა ფეხბურთელის სისხლშიც ბინადრობდა), ფაქტი მიჩქმალეს და B ტესტზე ტიტოვს შემოწმებაზე უარი ათქმევინეს. ყოველივე, ცხადია, ფეხბურთელთან ფარული შეთანხმების საფუძველზე მოხდა. „სპარტაკისა“ და რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტებმა მოილაპარაკეს, ამბავი დამალეს, რადგან მისი გამომზეურება იმ მომენტში არ აწყობდათ.

2004 წლის 17 იანვარი

მოსკოვს ოფიციალური ვიზიტით ზეპ ბლატერი და ლენარტ იუპანსონი ეწვივნენ. ბანკეტს მიღმა კოლოსკოვი ფოფელ და უეფელ ჩინოვნიკებს გაურიგდა, რომლებმაც ასევე იცოდნენ, რომ ტიტოვის საქმე უნდა გახეთქილიყო. საქმის სხვამხრივ შებრუნება შეუძლებელი გახლდათ. კოლოსკოვმა ტიტოვი ფაქტობრივად გაწირა და შანსი არ დაუტოვა.

23 იანვარი

უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია ტიტოვის ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შესახებ. კოლოსკოვ-ჩერვიჩენკოს მოწინააღმდეგენი კითხულობენ: 1. რატომ ერთწლიანი, როცა რიო ფერდინანდს, რომელმაც ტესტი არ გაიარა, ოდენ 8 თვე მიუსაჯეს? 2. რატომ გამოიტანეს გადაწყვეტილება ასეთი შემთხვევისთვის აუცილებელი B ტესტის გავლის გარეშე? პრეზიდენტების ოპონენტები თავადვე პასუხობენ: რუსთა საფეხბურთო კავშირი და მავანი უეფელები მორიგდნენ, რომ ამბავი მალე ჩაეფარცხათ.

24 იანვარი

„სპარტაკის“ პატრონმა განტევების ვაცი იპოვა: გუნდის ექიმი კატულინი გაათავისუფლეს.

რა მოხდება?

უეფას შტაბში ორივე მხრის საჩივლაკიო საბუთები მოთავსდება. „სპარტაკ“ ექვსი დღის ვადაში ერთწლიანი დისკვალიფიკაციის თაობაზე გადაწყვეტილებას წერილობით გაასჩივრებს და სასჯელის განახევრებას მოითხოვს. თან რუსებს იმის იმედიც აქვთ, რომ დისკვალიფიკაციის საწყის დღედ 15 ნოემბერი ჩაითვლება და 15 მაისს დასრულდება, ანუ ტიტოვს ევროპის ჩემპიონატში მოხვედრის შანსი კიდევ დარჩება.

ასე ფიქრობენ რუსები, მაგრამ უელსელები თავისას არ იშლიან, პორტუგალიიდან რუსთა ნაკრების მოკვეთას და მათ ადგილს ითხოვენ.

უეფა ამ სამეების გასარჩევად საბუთებს 3 თებერვალს ჩაუჯდება.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუბასთან

იტალიური „სამპდორიას“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი ფრანჩესკო ფლაკი ალბათ 40 დღე ვეღარ ითამაშებს. იგი „რევჯინასთან“ მატჩში დაშავდა. „სამპდორიასთვის“ ეს დიდი დანაკლისია, რადგანაც გენუელებს წინ ურთულესი შეხვედრები ელით „ლაციოსთან“, „ინტერთან“, „პარმასთან“ და „მილანთან“. ექიმების ვარაუდით, ფლაკი მოედანზე 14 მარტისთვის დაბრუნდება.

ბერძნული აეკი მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. დუშან ბაევიჩის თქმით წასვლა გასული ტურის მატჩის შემდეგ გადაწყვიტა (აეკი — ირაკლისი 4:0). ბაევიჩი აეკს ადრეც წვრთნიდა, მაგრამ 1996 წელს კლუბი მიატოვა და „ოლიმპიაკოსში“ გადაბარგდა. სერბ სპეციალისტს ამას გუნდის ბევრი ქომაგი დღემდე ვერ პატიობს. „ირაკლისთან“ მატჩის შეესვენებაზე ფანებმა მას შეურაცხმყოფელი ტრანსპარანტები უფრიალეს და მოღალატე ეძახეს. ამის შემდეგაც ბაევიჩმა განაცხადა: „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. უნდა წავიდე.“ გუნდის ხელმძღვანელები და ფეხბურთელები ამბობენ, სერბი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს, ჩვენ კი უძლურნი ვართო.

ბრაზილიელი რობერტო კარლოსი ათი დღით დაისვენებს. ექიმებმა ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, რომ ფეხბურთელს მცირე ტრავმა არ გაუმიზეზდეს. კარლოსს „ვალენსიასთან“ ესპანეთის თასის საპასუხო მატჩისა და პრიმერადივიზიონის მომავალი ტურის გამოტოვება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ დაშავებულია ზინედიან ზიდანიც, მაგრამ მისი დაბრუნება მოსალოდნელია „ვალიადოლიდთან“.

გერმანიის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ ბუნდესლიგას ოლივერ კანის გარეშე განაახლებს. კანმა „საუთჰემპტონთან“ ამხანაგურ მატჩში (1:1) მცირე ტრავმა მიიღო. ექიმებს ჯერ არ დაუკონკრეტებიათ, თუ რამდენ ხანს მოუწევს გერმანელს დასვენება.

ინგლისური „ლივერპულის“ თავდამსხმელი ემილ ჰესკი გასულ შაბათს ასოციაციის თასზე „ნიუკასლთან“ მოგებულ მატჩში დაშავდა. შავკანიანი ფეხბურთელი ლივერპულურ დერბის გამოტოვებს, რომელიც მომავალ უქმეებზე გაიმართება. „ემილს მუხლი სტკივა და სამწუხაროდ, დერბიში ვერ დაგვეხმარება. იგი ალბათ ორი, მაქსიმუმ სამი კვირა ვეღარ ითამაშებს. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მის გამოჯანმრთელებას“ — განაცხადა „ლივერპულის“ თავკაცმა ჟერარ ულიემ. სამაგიეროდ, გუნდის კიდევ ერთი თავდამსხმელი, ჩეხი მილან ბაროში, რომელიც უკვე ოთხი თვეა, მოტეხილ ფეხს მკურნალობს, გამოკეთდა და თანაგუნდელებს შეუერთდება.

ჩეხი ტომაშ როსიცკის აგენტმა პაველ პაშკამ განაცხადა, რომ მისი კლიენტი სეზონს დორტმუნდის „ბორუსიას“ რიგებში დაამთავრებს და მერე შესაძლოა, მართლაც გადაბარგდეს ლონდონის „ჩელსიში“. „ლონდონელთაგან წინადადება ნამდვილად მივიღეთ, მაგრამ ჯერ არაფერი გარკვეულა, მოლაპარაკებები გრძელდება. ის კი ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ტომაში სეზონის ბოლომდე დორტმუნდში დარჩება“ — აღნიშნა პაშკამ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „არისტოკრატები“ როსიცკის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს იხდიან.

ინგლისური „ჩელსის“ თავკაც კლაუდიო რანიერის ვილი სანიოლის გადაბირება სურს. იტალიელი სპეციალისტი დაჟინებით მოითხოვს, რომ საქმე ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მოგვარდეს, მაგრამ დააკმაყოფილებს თუ არა „ბაიერნს“ ლონდონელთა მიერ შეთავაზებული 5 მილიონი გირვანქა, ჯერ უცნობია. აქვე აღვნიშნოთ, „ჩელსის“ უინსტონ ბოგარდით ჰოლანდიური პსვ-ს თავკაცი გუუს ჰიდინკი დაინტერესდა. ბოგარდი, რომელიც ერთ დროს ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშობდა, უკვე სამი წელია, პრემიერლიგის არც ერთ მატჩში არ გასულა მინდორზე. იგი შიგადაშიგ სათასო მატჩებში თუ გამოჩნდება ხოლმე, ახლა კი საკუთარი ნომერიც აღარ აქვს, რადგანაც შვიდნომრიანი მაისურა ლონდონში ჩასვლისთანავე ადრიან მუტუმ მოირგო. ჰიდინკის თქმით პსვ ბოგარდის გადაბირებაზე ფიქრობს. ფეხბურთელს სამშობლოში დაბრუნების საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

კორეელმა ფეხბურთელმა ჰიეონ სეოლმა ბრიუსელის „ანდერლეხტთან“ კონტრაქტი 2005 წლამდე გაახანგრძლივა. 25 წლის ფორვარდი კლუბში 2001 წელს „ანტვერპენიდან“ გადავიდა და საკმაოდ კარგად თამაშობს. „ანდერლეხტის“ ხელმძღვანელებმა მისი შენარჩუნება იმიტომ გადაწყვიტეს, რომ გუნდის კიდევ ერთ თავდამსხმელ ივიცა მორნართან ვერ მორიგდნენ. 30 წლის ხორვატს ახალ, ორწლიან კონტრაქტს სთავაზობდნენ, მაგრამ მხარეებმა საერთო ენა ვერ გამონახეს. „ანდერლეხტი“ ახლავე ეცდება მორნარის გაყიდვას, მაგრამ თუ ხელი მოეცარა, ზაფხულში უკომპენსაციოდ გაეყრება ხორვატს.

ჰოლანდიელი მარკო ვან ჰოოგდალემი სამშობლოში, კერძოდ კი ყოფილ კლუბში კერკრადეს „როდაში“ დაბრუნდა. 31 წლის ვეტერანი მცველი მისმა ამჟამინდელმა გუნდმა, „შალკემ“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა. ჰოოგდალემს „როდაში“ 1993-97 წლებში 128 მატჩში უთამაშია. მიუხედავად ამისა, იგი იმედოვნობს, რომ გერმანიაში დაბრუნდება და კვლავ ეცდება გელზენკირხენელთა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას.

ჯირალდინოს პიოლა
სიენა, სიენამ, სიენას...



ფაბიო ბაცანი

„რომა“ ფაბიო ბაცანის მსურველთა რიგებს შეუერთდა, იმავდროულად კი გაირკვა, რომ „სტადიო ოლიმპიკოზე“ „სიენადან“ როდრიგო ტადეიც გადაბარგდება.

ბაცანი „სამპდორიას“ 27 წლის წევრია, რომელიც „მილანს“, მადრიდის „რეალს“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოსდიოდათ თვალში, მაგრამ ახლა საქმეში „რომაც“ ჩაერთო, რომელმაც ბაცანის სანაცვლოდ ვინჩენცო მონტელა შესთავაზა გენუელებს. მონტელა, ალბათ გახსოვთ, „სამპდორიას“ ყოფილი ვარსკვლავია და იქაურ ქომაგებს მისი დაბრუნება ძალიან გაუხარდებათ. თუ ეს გარიგება შედგება, იტალიის ნაკრების თავდამსხმელს „რომაში“ ზაფხულიდან უნდა ველოდოთ

ზემოხსენებული როდრიგო ტადეი კი 23 წლისაა და ასე ამბობს:

„როდესაც „რომას“ თამაშს ვუყურებ, ოცნებას ვიწყებ — განაცხადა ნახევარმცველმა — ჩემთან, ბრაზილიაში ეს გუნდი „მილანის“ „იუვენტუსის“ და „ინტერის“ მხარდამხარ ყველაზე პოპულარულია. გულწრფელად რომ გითხრათ, თავს „სიენაშიც“ ჩინებულად ვგრძნობ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში თამაში ამთავითვე წარმომიდგენია, რამდენად დიდებული იქნება, მით უფრო იმის ფონზე, რომ გასულ სეზონში სერია B-ს ფეხბურთი ვითამაშე“.

ტადეი „სიენასთან“ კონტრაქტით 2005 წლამდეა შეკრული და წელიწადში დაახლოებით 325 ათას დოლარს იღებს. სხვათა შორის, ამ ნახევარმცველის გაყიდვა რომ გვარიანი ცდუნება იქნება, ერთი კვირის წინ ტოსკანელთა შეფმა პაოლო დე ლუნამაც აღიარა.

და რადგანაც იტალიის მეორეხარისხოვან გუნდებზე ჩამოვარდა სიტყვა, ვთქვათ, რომ სამწვრთნელო საქმის ვეტერანი ჯოვანი გალეონე „ანკონას“ ახალი მწვრთნელია. მოგეხსენებათ, ანკონელებმა ნედო სონეტი გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

სონეტის სამუშაო, როგორც ირკვევა, „მილანთან“ 0:5-მა დამარცხებამ შეიწირა. საერთოდ, თუ გახსოვთ, ამ სეზონის დასაწყისში „ანკონას“ კიდევ სხვა მწვრთნელი, ლეონარდო მენიკინი ხელმძღვანელობდა, ასე რომ, გალეონე სერია A-ს აუტსაიდერისთვის ერთ სეზონში უკვე მესამე მწვრთნელია. „ანკონას“ 18 ტურის მერე მხოლოდ 5 ქულა აქვს.

ხოლო „პალერმომ“, რომელიც სერია A-ში ასვლისთვის იბრძვის და უიმედოდ არ არის, მწვრთნელი სილვიო ბალდინი თანამდებობიდან გაათავისუფლა. „ემპოლის“ ყოფილ თავკაცს კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ კარისკენ „სალერნიტანასთან“ 0:2 მარცხის შემდეგ მიუთითა. თუ სერია B-ს ცხრილი არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ „პალერმო“ მესამე ადგილზეა და ლიდერს, „ატალანტას“ ოთხად ოთხი ქულით ჩამორჩება. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ექვს შეხვედრაში პალერმოელებმა მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს და ორიც ფრედ დაასრულეს. მოსალოდნელია, რომ გუნდის სერია A-ში აყვანას „ბოლონიას“ ყოფილ თავკაცს და იტალიურ ფეხბურთში ცნობილ ფრანჩესკო გვიდოლინს დაავალებენ.

ფრანჩესკო გვიდოლინი

ხოლო სერია A-ს გაკოტრებულ-გაჭირვებულმა „პარმამ“, რომელიც თავის გადარჩენას და ორი კაპიკის შოვნას ფეხბურთელების გაყიდვით ცდილობს, ჟუნიორი „სიენას“ გაატანა, ოღონდ კი სამუდამოდ კი არა, სეზონის ბოლომდე ათხოვა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელი განაპირა მცველი ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი არ არის.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურში „პარმამ“ „ბოლონიასთან“ 0:0 ითამაშა და ამ მატჩის შემდეგ „პარმას“ მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ ფეხბურთელები ორი დღით დაითხოვა. შემდეგი შეხვედრა პარმელებს პერუჯაში უწევთ, ხოლო „პერუჯას“ ვეტერანი ფაბრიციო რავანელი ეყოლება.

რავანელის შესახებ ასე ხაზგასმით იმიტომ მოგახსენებთ, რომ წინა ტურში ანუ ვეტერანისთვის იტალიაში დაბრუნების პირველსავე დღეს მან „სიენას“ კარში (უკვე რამდენჯერ მოგვიხდა სიენელების ხსენება) გოლი კი გაიტანა, მაგრამ ფეხიც იტკინა და ამბობდნენ, ვაი თუ „პარმას“ ვერ დაუხვდესო. ახლა გაირკვა, რომ დაუხვდება.

და ბოლოს, „პარმას“ თავდამსხმელზე, ალბერტო ჯირალდინოზე მოგახსენებთ, იგი სილვიო პიოლის სახელობის ჯილდოთი გამდიდრდა. ეს ჯილდო ქვეყნის ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფორვარდს ენიჭება და ჯირალდინომდე მას მასიმო მაკარონე და ჯუზეპე სკული ფლობდნენ.

ალბერტო ჯილარდინიო

პარმელი იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია, რომელსაც შარშან ჟურნალისტების თვალი და შემნეევა არ მოკლებია. ჯირალდინომ დიდი როლი ითამაშა თავად „პარმას“ შემადგენლობაშიც, მით უფრო მას მერე, რაც ადრიანო დაშავდა.

„სამწუხაროა, ადრიანო ჩვენთან რომ არ თამაშობს და „ინტერშია“ — განაცხადა თავდამსხმელმა — მის გარეშე თავს მარტო ვგრძნობ, თუმცა მთელ ამ ისტორიაში არის ერთი დადებითი ფაქტორიც, მე, ალბათ, უფრო ხშირად მათამაშებენ ძირითად შემადგენლობაში.“

დავძინოთ, რომ ალბერტო ჯირალდინო, რომელმაც სერია A-ში პირველი შეხვედრა 2000 წელს „პიაჩენცას“ შემადგენლობაში ჩაატარა, „მილანისა“ და „იუვენტუსის“ სატრანსფერო ნდომის ობიექტია.

პაპუნა კედია

ინტერს უფრო ედავიდება

„უდინეზეს“ 23 წლის ვარსკვლავი დავიდ პიზარო ამ კვირის ბოლოს, ალბათ „ინტერში“ გადავა. პიზარო ჩილელია, რომლის „შავ-ლურჯ“ გუნდში გადასვლაზე კვირას ალაპარაკდნენ და როგორც ირკვევა, სიტყვიდან პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ. ბუნებრივია, ამ დღეებში „უდინეზეს“ და „ინტერის“ ხელმძღვანელები საკონტრაქტო დეტალებს დააზუსტებენ და დავიდ პიზაროს ამბავი, საბოლოოდ, ალბათ ხვალ, ხუთშაბათს მოკვარახჭინდება.

საქმე ის გახლავთ, რომ „ინტერის“ ნახევარდაცვას, ბევრის აზრით, გამთამაშებელი აკლდა და „შავ-ლურჯები“ ამდენ ხანს „ლაციოსგან“ დეიან სტანკოვიჩის ყიდვას იმედოვნებდნენ, მაგრამ კეთილი ინებეს, ბოლოს ეს ფეხბურთელი ინტერს ერგო. ალბერტო ჯილარდინიო

დავიდ პიზარო

„კონკრეტული, ჩამოყალიბებული წინადადება დღემდე არ მიგვიღია“ — განაცხადა „ლაციოს“ წარმომადგენელმა მატეო მასონიმ. აღსანიშნავია, რომ ორი გუნდის წარმომადგენლები ერთმანეთს რამდენჯერმე შეხვდნენ. შეგახსენებთ: „ცრვენა ზვეზდას“ ყოფილი ვარსკვლავი სტანკოვიჩი „ლაციოში“ კარიერას ასრულებს. კონტრაქტის თანახმად, მხოლოდ ექვსი თვე აქვს დარჩენილი და სწორედ ეს იძლეოდა დამატებით სტიმულს იმ ხალხისთვის, ვინც მის მილანში გადასვლას მიესალმებოდა.

„ჩვენ რვა ფეხბურთელი გვყავს, რომელთაც კონტრაქტის ვადა 2004 წელს ეწურებათ — განმარტა მასონიმ — და როგორც კი ჩვენი ფინანსური მდგომარეობის შესახებ დამატებით შევიტყობთ, უფრო სწორად კი ერთი-ორ დეტალს დავაზუსტებთ, თითოეულ მათგანს მოველაპარაკებით. ჩვენი კლუბის ხელმძღვანელები სერიოზულად მუშაობენ, რათა სტანკოვიჩის ვითარების მაგვარი აღარაფერი განმეორდეს“.

სხვათა შორის, ზემოხსენებულმა პიზარომ დიდი ხანი არაა, რაც „უდინეზესთან“ 2007 წლამდე გააფორმა ახალი ხელშეკრულება და დღეს იტალიურ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშეა. უცნობია, რა დაუჯდება მისი გადაბირება „ინტერს“, მაგრამ ამბობენ, სადღაც 9 და 18 მილიონ ევროს შორისო.

პაპუნა კედია

ნუ გარეცხავ, დედა, შვილის მაისურას

ლი უოქერს სულ ოხრად დაურჩა „ჩელსის“ ფეხბურთელებისგან საგულდაგულოდ ჩამორთმეული ავტოგრაფები — „სკარბოროს“ მეკარეს დედამ მაისური გაურეცხა... დაავიწყდა მშობლისთვის იმის თქმა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის მეოთხე ეტაპზე მისი გუნდი „ჩელსის“ შეხვდა და მან ლონდონური კლუბის მეგავარსკვლავებს საგანგებოდ ჩამოაწერინა მაისურაზე ავტოგრაფები.

„შეძრწუნებული ვარ. ეს ჩემთვის დიდი სუვენირი იყო ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩის სამახსოვროდ. ახლა ყველაფერი ჩაფლავდა და გაცამტვერდა“ — განუცხადა უოქერმა „დეილი ტელეგრაფს“.

აღსანიშნავია, რომ „სკარბოროს“ მეკარემ დიდ მეტოქესთან მხოლოდ 0:1 წაგებაში ლომის წვლილი შეიტანა, არადა ინგლისური ლიგების ადგილებს თუ გადავთვლით და ამ ქერმა „დეილი ტელეგრაფს“.

ყველაფერს ერთ დიდ ჩემპიონატად წარმოვიდგენთ, გამოვა, რომ უოქერის გუნდი მასზე 104 ადგილით წინ მდგომ მეტოქეს ეპაექრებოდა.

სამწუხაროდ, წყალმა წაიღო პირადი მიძღვნა და კეთილი სურვილები, რომლებიც აქეთა მეკარის მაისურას იქითა მეკარემ, კარლო კუდიჩინიმ წააწერა.

„წარწერა დავინახე და მისი წაშლა არ მინდოდა. ვიფიქრე, მხოლოდ მკლავების გასუფთავებას შევძლებდი, მაგრამ სამწუხაროდ წყალი მთელს მაისურას მიედო და ყველაფერი წაშალა“ — განაცხადა დედა უოქერმა.

პაპუნა კედია

აფრიკის ეროვნებათა თასი 2004
ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

სისოკო და გოლი
კენიას კანუტი მოხვდა

კენია — მალი. როგორ იქნებოდა, მალელთა სამი გოლიდან ორი ფრედერიკ კანუტის არ ყოფილიყო

B ჯგუფი. I ტური

კენია 1:3 მალი

0:1 სისოკო (28), 1:1 მულამა (58), 1:2, 1:3 კანუტი (63, 81)

სენეგალი 0:0 ბურკინა ფასო

მალი ჰქვია და ეს სახელი ნიგერია-კამერუნთან შედარებით ვერ სჭექს, მაგრამ აბა, მალელთა შემადგენლობაში ჩავიჭვრიტოთ: „ტოტენჰემი“, „ვალენსია“, „ფრაიბურგი“, „ლიონი“, „ლანსი“, „ნიცა“, „პერუჯა“... აი, გუნდები, რომლებშიც ამ აფრიკული ქვეყნის შვილები თამაშობენ. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ანრი სტამბულის ნაკრები ტუნისში ანგარიშგასაწევი ძალაა.

ფრანგი მწვრთნელის შეგირდებში ორი გამოსარჩევი ფეხბურთელია: მოჰამედ ლამინ სისოკოს და ფრედერიკ კანუტი. ორივეს საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრებში უთამაშია. პირველ „ვალენსიას“ ლეგიონერია, მეორე კი — „ტოტენჰემის“. ფიფას ახალი წეს-კანონის მიხედვით, სისოკოს და კანუტს, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგ 21-წლამდელებში უბურთავიათ, ფრანგობაზე უარის თქმის უფლება ჰქონდათ და კიდეც იუარეს — მათ მალელობა ირჩიეს და მამაპაპისეულ კერას დაუბრუნდნენ.

სტამბულის გუნდი კენიელებთან შეხვედრაში აშკარა უპირატესობას ფლობდა და მეტოქეს პირველივე ტაიმში გაუტანა. სისოკომ მოწინააღმდეგე მცველთა აბდაუბდობით ისარგებლა, ბურთი ასწაპნა და მეკარე ფრანსის ონიისოს შანსი არ დაუტოვა.

კენიელები თამაშის კონტრშეტევებზე აწყობას ცდილობდნენ. წინ სწრაფი, მონდომებული, მაგრამ უიღბლო ყმაწვილი ფორვარდი ჰყავდათ. დენის ოლიეჩმა მატჩის განმავლობაში არაერთი ხელსაყრელი მომენტი გაანიავა, რადგან კარში ბურთს ვერ უმიზნებდა. ოლიეჩს ლომანა ლუა ლუასა და სამუელ ეტოოს მსგავსად სამიზნე გასასწორებელი აქვს.

კენიამ შეხვედრის მეორე ნახევარში გათანაბრება შეძლო, მანამდე კი მალელები მეტოქის კარის ჩარჩოს გარშემო აცაბაცად ურტყამდნენ.

ფრემ ოდენ ხუთ წუთს გასტანა. მერე საქმეში ფრედერიკ კანუტი ჩაერია, რომელიც თავისებს მხსნელად მოევლინა. მარჯვენა ფლანგიდან შეჭრილმა ფორვარდმა ფრანსის ონიისოს შორეულ კუთხეში გაუტანა, დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე კი მესამე მოაყოლა.

გამარჯვებულთა მწვრთნელი ანრი სტამბული გახარებული იყო: „აქამდე ბევრი თამაში მოგვიგია, მაგრამ ეს ურთულესი შეხვედრა გამოდგა. ბიჭებს გაუჭირდათ, თუმც თავდამსხმელთა წყალობით მეტოქე გავტეხეთ. ძალიან ბევრნი მაკრიტიკებდნენ, ნაკრებში ულირსი ფეხბურთელები შეყარეო, ახლა კი მათ პასუხი შედეგმა გასცა. ჩემმა ტაქტიკამ გაამართლა და არაერთი ოპონენტი გავაჩუმე“.

ფრედერიკ კანუტმა, რომლის გაშვება ტუნისში „ტოტენჰემს“ არ სურდა, ნამატჩევს თქვა: „დღეს ახალი ფურცელი გადაიშალა და ბედნიერი ვარ, ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია. მალისთვის ყოველთვის ასე თავდაუზოგავად და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ. ორი გოლით და საბოლოო მოგებით ქომაგები გავახარე. ვიცი, რომ ისინი ნერვიულობდნენ ჩემს გამო და მეც ვფიქრობდი მათზე. დიდი ხნის წინ წავედით სამშობლოდან და ახლა ვნახე, თანამემამულე გულშემატკივრები როგორ გულღიად დამხვდნენ. როგორც კი შევიტყვე, რომ ფიფას წესებით მალის ნაკრებში თამაში შემეძლო, არც დავფიქრებულვარ, გადაწყვეტილება უმალ მივიღე. აფრიკის თასის მატჩებს ტელევიზორში ვუყურებდი ხოლმე და ყოველთვის მსურდა აქ თამაში. ეს სურვილიც ამიხდა და მერწმუნეთ, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ“.

კენიელთა მწვრთნელი ჯეიკობ „გოსტ“ მული: „მომდევნო შეხვედრაში აღარ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, მალელებთან რომ დავუშვით. ეს უკვე სასაცილო იქნება“.

„გოსტმა“ დენის ოლიეჩის განიავებულ მომენტებზეც ისაუბრა: „ჩვენი ტაქტიკა გრძელ პასებზე და ოლიეჩის სისწრაფეზე იყო აწყობილი და უკეთესი შემსრულებლები რომ მყავდეს, მალელები თამაშის შემდეგ ასე ვეღარ იჭიკჭიკებდნენ“.

სენეგალელებს დაახლოებით იგივე დაემართათ, რაც კამერუნელებს ალჟირთან. უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, რომელიც ბევრი საგოლე მომენტით იყო გაჯერებული, ფავორიტები ოდენ ქულას დასჯერდნენ.

ელ ჰაჯი დიუფს და მის ძმობილებს ჟან პოლ რაბიეს გაწვრთნილი გუნდი დაცვაში ჩაუჯდა. ბურკინაფასოელებს ეს ხელობა საკმაოდ კარგად შეუსწავლიათ, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში ძირითადად მეტოქის შეტევების ჩაშლაზე ზრუნავდნენ. აშკარად ქულის ასაღლეტად თამაშობდნენ და თავისას მიაღწიეს.

სენეგალელთაგან მომენტები, სხვებზე მეტად, „ვულვერჰემპტონის“ ფორვარდ ანრი კამარას ჰქონდა. პირველ ტაიმში თავით ბურთი კარს ცუდად დაუმიზნა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი ძელს მოარტყა.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტების გარჯა ამაო გამოდგა. შეხვედრის მიწურულს ბურკინელებსაც შეეძლოთ სამი ქულის აგლეჯა, მაგრამ სალიფ დიაომ აბდულაიე სისეს შეტევა დროულად შეაჩერა.

სენეგალელთა მწვრთნელი გი სტეფანი დაზაფრული გახლდათ: „აურაცხელი კარში დარტყმული ბურთი, მათ შორის შვიდი-რვა საჯარიმოს შიგნიდან, მაგრამ რაც არ უნდა უცნაური იყოს, არც ერთი გოლი მეტოქის კარში. ეს დაბდურობა უნდა დასრულდეს. შეკრებაზე და ამხანაგურ მატჩებში თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. მომდევნო მატჩში კენიასთან უეჭველად გამარჯვება გვჭირდება“.

ბურკინა-ფასოს თავკაცი ჟან პოლ რაბიე: „90 წუთის მანძილზე გვიტევდნენ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან იცით, ვინ იყო ჩვენი მეტოქე. შედეგმა ძალიან გაგვახარა. ბიჭებმა ქულა ნაღდად დაიმსახურეს“.

ვაჟა ხუციშვილი

მალი	1	1	0	0	3:1	3
ბურკინა ფასო	1	0	1	0	0:0	1
სენეგალი	1	0	1	0	0:0	1
კენია	1	0	0	1	1:3	0

II ტური, 30 იანვარი

ბურკინა ფასო — მალი

სენეგალი — კენია

ასეთია მალის ფანი

მან სიკვდილი ნახა

უნგრეთის ნაკრებისა და პორტუგალიური „ბენფიკას“ თავდამსხმელი მიკლოშ ფეჰერი კამერუნელი მარკ ვივიენ ფოეს შემდეგ რიგით მეორე ფეხბურთელია, რომელიც გულის შეტევის გამო შუაგულ სტადიონზე ტრაგიკულად დაილუპა. ბუნებრივია, იმ ეპიზოდში 24 წლის მობურთალის სიკვდილმა ყველაზე მძიმედ „ბენფიკა-გიმარეშის“ შეძრწუნებულ შემადგენლობაზე იმოქმედა. ჟოაო ტომაშმა, „ბეტისის“ ოდინდელმა ფორვარდმა და ამჟამად „გიმარაეშში“ იჯარით მოთამაშემ, მისდა სამწუხაროდ, ერთ-ერთმა პირველთაგანმა იხილა ბენფიკელი მიკლოშის ტრაგედია. ტომაშს ესპანური „ლიბრედირექტოს“ ჟურნალისტი გაესაუბრა

— ეს თქვენი, როგორც ფეხბურთელის ყველაზე რთული დღე იყო?

— დიახ, არა მარტო საფეხბურთო, არამედ პიროვნული, ადამიანური თვალსაზრისითაც უმძიმესი დღე გახლდათ. ფეჰერი გარდაცვალებამ ყველა შოკში ჩაგვაგდო.

— მატჩის სატელევიზიო ტრანსლაციის დროს ჩანდა, რომ მიკლოშთან იმ ავბედით ეპიზოდში საკმაოდ ახლოს იდექით...

— ძალიან ახლოს. დაახლოებით 7-8 ნაბიჯის მოშორებით ვიყავი.

— როდესაც უნგრელი მოედანზე დაეცა, იმწუთასვე მიხვდით, რა ხდებოდა?

— დიახ. მეც და ნებისმიერი იქ მყოფი მივხვდით, რომ რაღაც საშინელება მოხდა. საუბედუროდ, ჩვენი ვარაუდი გამართლდა.

— სამედიცინო პერსონალს რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, თუმც ამბობენ, ექიმები მოედანზე უფრო დროულად რომ შემოსულიყვნენ, ეგებ გადაერჩინათო...

— რატომ უნდა ამბობდნენ ამას? სრული სიბრიყვეა. რაღაც წამებში მიირბინეს მიკისთან, სულ მცირე ხანში, რაც მოედნის საპირისპირო მხარეზე გადასვლისთვის დასჭირდათ. გარდა ამისა, მე თავად ყველაფერი ვნახე და ვიცი, როგორი სასოწარკვეთით ცდილობდნენ ბიჭი სიკვდილისთვის გამოეგლიჯათ.

— „გიმარაეშის“ ფეხბურთელები მივიდნენ იმ ჰოსპიტალში, სადაც მიკლოში გადაიყვანეს?

— ჯოჯოხეთური გრძნობა განვიცადე. დგახარ საავადმყოფოში, შენსავით დაბნეულ ამხანაგებს შორის და მეგობარს ვერაფრით ეხმარები. ერთადერთი რამ დაგვრჩენოდა — საბედისწერო ცნობის გამოცხადებას უმწეოდ დავლოდებოდით. ბავშვებივით ვტიროდით.

შემაქეთ და ნახეთ, რასაც ვიზამ!

იკერ კასილიასი ევროპის ერთ-ერთ გამორჩეულ მეკარედ უდავოდ ითვლება, მაგრამ იმავდროულად უდავოა ისიც, რომ მას კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი წინ აქვს. რატომ? იმიტომ, რომ მადრიდის „რეალის“ მეკარე უამრავი დიდი ტიტულის მიუხედავად მხოლოდ 22 წლისაა

— რა რეაქცია გქონდათ „რეალის“ ფეხბურთელებს, როდესაც შეიტყვეთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მიუხვენის „ბაიერნს“ ხვდებით?

— არცთუ დიდი ხნის წინ „ბაიერნი“ ჩვენი დიდი მეტოქე იყო და ვინაიდან ერთმანეთს არაერთხელ შევხვედრივართ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს შორის ისტორიაა. სწორედ ამიტომ არ ვიტყუებთ თავს. ზუსტად ვიცით, რომ ჩვენ ძნელი, მრავალმხრიანი ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი. დახეთ, ფაქტებს, ჩვენს შორის გამართული ბოლო რვა თამაშიდან ექვსი „ბაიერნმა“ მოიგო, ასე რომ, ამ ბალანსის გამოსწორება გვმართებს. იმედი მაქვს, მეოთხედფინალის მომავალი ორი თამაში სტატისტიკას ცოტა ჩვენთვის მიმზიდველს გახდის.

— ჩემპიონთა ლიგის ახლებური ფორმატი ძველს გირჩევნიათ?

— დიახ, აშკარად. ადრე მეტისმეტად ბევრი თამაში გვიწევდა. მე თუ მკითხავთ, პლეი ოფის 16 გუნდით დაწყება და გავარდნაზე აწყობილი ძველებური სისტემა უმჯობესია. ამის გამო წლევანდელი გათამაშება უფრო ამაღლებელიც იქნება. პლეი ოფი იმას ნიშნავს, რომ გუნდები უფრო დაძაბულები და მობილიზებულნი იქნებიან.

— თქვენ დევიდ ბექემმა მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გიწოდათ. როგორ გრძნობთ თავს ასეთი ახალგაზრდა, რომელზეც ასეთ რამეს ამბობენ?

— თავს დიდებულად ვგრძნობ, მით უფრო თუ ეს სიტყვები ბექემის დონის თანაგუნდელმა თქვა. მე მასზე ძალიან დიდი შეხედულებისა ვარ. რაც შეეხება ასეთ შექებას, მსგავსი სიტყვების მოსმენის შემდეგ ადამიანი გაორმაგებული ენერგიით მუშაობ.

— როგორ ფიქრობთ, ბექემზე მეტოქეები ნადირობენ?

— ბექემი ისეთი ფეხბურთელია, რომ ასეთი რამ ადამიანმა შეიძლება იფიქრო, მაგრამ მეორე მხრივ, არა მგონია ვინმე ძალად ცდილობდეს მისთვის ენების მიყენებას. ის კი არა, მგონი, ფეხბურთელები პირიქით ცდილობენ არაფერი ატკინონ და ამით მის წინააღმდეგ ბურთის თამაშის სიამოვნებას იმტკიცებენ.

— ევრო 2004-ზე კი ესპანეთის ნაკრები საბერძნეთს ხვდება, არადა შესარჩევში ესპანეთი საბერძნეთთან დამარცხდა. გაგიკვირდათ მაშინდელი მარცხი?

— არ გამკვირვებია, რადგან ვიცი, რომ ბერძნებს ძლიერი გუნდი ჰყავთ. მახსოვს, იმ დღეს ყველაფერი დაღმა წაგვივიდა, თამაშის ნირი რამდენჯერმე შევცვალეთ, მაგრამ უშედეგოდ. სხვათა შორის, იმ კვირაში ჩრდილოირლანდიელებთან ფრედ ვითამაშეთ.

— და პორტუგალიელთათვის მასპინძლობა დიდი უპირატესობა იქნება?

— მგონი, მათი უპირატესობა სრულიად სტანდარტულია. ჩვეულებრივ მასპინძლებს უპირატესობა აქვთ ხოლმე, თუმცა პორტუგალია ესპანეთის მეზობელი ქვეყანაა და ამიტომ, იმედი მაქვს, ჩვენი ქომაგებიც მრავლად დაესწრებიან თამაშებს. ეს ჩვენთვისაც დიდი პლუსი იქნება.

გამოუშვით რეალი! ვისენტე 3:0-ს ემუქრება

დღეს ესპანეთის თასის საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება. რაფა ბენიტესის „ვალენსიამ“ პირველი მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დიდი ანგარიშით (0:3) დათმო და ამიტომაც მის მეტოქე „რეალს“ შეუძლია, „მესტალიას“ პაემანი დიდად გულთან არც მიიტანოს. თუმცა სანამ კარლუშ კეირუშის „გალაქტიკური ვარსკვლავები“ ფიქრებში უკვე ნახევარფინალს ულიმიან, ვალენსიელი ვისენტე ესპანურ „მარკას“ უჩვეულო ოპტიმიზმით აკვირვებს.

„ნათელია, რომ იმ 0:3-ის შემდეგ „რეალთან“ საპასუხო ბრძოლა ძნელი იქნება, მაგრამ რატომაც არ უნდა ვცადოთ, სტუმრებს შესაფერისი დახვედრა მოვუწყოთ? მათ 3 გოლი გაგვიტანეს, ახლა კი „ვალენსიას“ ჯერია. გარწმუნებთ — ჩვენ შეგვიძლია მეოთხედფინალიდან „რეალის“ გამოთიშვა“ — ემუქრება დედაქალაქელებს მასპინძელი.

„ვალენსიას“ ნახევარმცველის იმედები მისი გუნდის უახლოესი წარსულიდან ნამდვილად არ მოდის. „რეალთან“ ქვეყნის თასზე უკვე ნახსენები წაგება, პრიმერა-დივიზიონში „ოსასუნასთან“ სენსაციური მარცხი, ხოლო „ვალიადოლიდთან“ უგოლო ფრე — ბოლო სამ შეხვედრაში ბენიტესის ბიჭებს დაავიწყდათ გამარჯვების გემო. ამიტომაც, როცა „მარკას“ გაოცებულმა ჟურნალისტმა ჰკითხა, „ბერნაბეუს“ უძველესი არმადის აგრერიგად ადვილად მოსპობას როგორ აპირებთო, ვისენტე სულ ოდნავ, მაგრამ მაინც მოლბა: „თუკი სწრაფი გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ, გამარჯვების შანსი ძალიან მცირე გვექნება. ჩვენი სტრატეგია ოდენ უწყვეტი იერიშია“.

რაც შეეხება „ვალენსიას“ სატრანსფერო პოლიტიკას და საამსეზონო ზრახვებს, აქ ყოჩაღი მოთამაშე გულარხეინად გამოიყურება: „ვალენსია“ სტაბილური გუნდია, რომელსაც ცალკეული შეფერხებანი ვერაფერს დააკლებს. რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ კლუბის თავკაცები ახალ ფეხბურთელებს შეიძენენ, მაგრამ მე ამ შემადგენლობაშიც დიდებულ ბიჭებს ვხედავ. სეზონის ბოლოს აუცილებლად მოვიგებთ რაიმე ჯილდოს“.

ვალენსიელ ვისენტეს (მარჯვნივ) „რეალის“ ვარსკვლავების არ ეშინია

ლადო ხომერიკი

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი XXI ტური

მალაგა B 0:0 სპორტინგი

სპორტინგი	21	11	5	5	28:17	38
ლევანტე	21	10	8	3	22:11	38
ნუმანსია	21	10	5	6	30:17	35
კადისი	21	10	4	7	28:20	34
ეიბარი	21	9	7	5	20:12	34
ალავესი	21	9	7	5	20:16	34
ხეტაფე	21	7	12	2	24:19	33
უელვა	21	6	11	4	22:18	29
სალამანკა	21	6	10	5	25:20	28
ალმერია	21	6	9	6	23:24	27
ლეგანესი	21	6	9	6	21:23	27
ელჩე	21	6	8	7	26:32	26
ხერესი	21	4	13	4	21:25	25
სიუდად მურსია	21	5	10	6	28:36	25
კორდობა	21	5	9	7	18:20	24
ტერასა	21	6	6	9	22:27	24
ლას პალმასი	21	4	11	6	27:31	23
რაიო	21	6	4	11	25:33	22
ეხიდო	21	5	6	10	18:27	21
ტენერიფე	21	3	11	7	14:21	20
მალაგა B	21	4	7	10	21:29	19
ალხესირასი	21	3	8	10	20:25	17

იტალია

სერია B. XXIV ტური

ტერნანა 0:0 ბარი

ატალანტა	24	11	13	0	33:16	46
ტერნანა	24	13	6	5	36:22	45
პალერმო	24	11	9	4	32:18	42
პიაჩენცა	24	11	7	6	24:19	40
მესინა	24	9	11	4	32:24	38
ლივორნო	24	9	11	4	30:22	38
კალიარი	24	9	8	7	40:28	35
ტორინო	24	8	10	6	33:25	34
კატანია	24	9	7	8	32:26	34
ტრევიზო	24	8	10	6	28:25	34
ტრიესტინა	24	8	9	7	32:32	33
სალერნიტანა	24	9	6	9	22:24	33
ასკოლი	24	8	8	8	30:30	32
ფიორენტინა	24	7	11	6	27:30	32
პესკარა	24	7	9	8	20:27	30
ნაპოლი	24	4	16	4	19:20	28
ალბინოლეფე	24	7	7	10	22:31	28
ვიჩენცა	24	5	11	8	20:23	26
ვერონა	24	5	10	9	28:33	25
ბარი	24	5	8	11	24:32	23
ვენეცია	24	4	11	9	19:27	23
ჯენოა	24	4	10	10	19:32	22
კომო	24	4	8	12	17:31	20
აველინო	24	0	10	14	18:40	10

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

ალემანია 3:2 ნიურნბერგი

0:1 მინტალი (7), 1:1 გრლიჩი (9), 1:2 აიდოო (11), 2:2 კრონტირისი (23), 3:2 სალუ (79)

ალემანია	17	9	4	4	30:26	31
ობერჰაუზენი	17	8	5	4	29:19	29
კოტბუსი	17	8	5	4	29:23	29
ნიურნბერგი	17	8	4	5	31:23	28
არმინია	17	8	3	6	26:18	27
მაინცი	17	7	6	4	26:20	27
კარლსრუე	17	7	4	6	19:22	25
ბურგჰაუზენი	17	6	5	6	23:21	23
უნტერჰახინგი	17	6	5	6	26:27	23
ფიურტი	17	5	7	5	30:26	22
ლიუბეკი	17	5	7	5	27:25	22
დუისბურგი	17	5	7	5	23:25	22
რეგენსბურგი	17	5	6	6	22:23	21
აუე	17	4	7	6	18:20	19
ალენი	17	5	2	10	18:29	17
ტრირი	17	4	5	8	19:31	17
უნიონი	17	4	4	9	17:22	16
ოსნაბრიუკი	17	4	4	9	17:30	16

პორტუგალია

სუპერლიგა. XIX ტური

ბოავიშტა 1:0 ბეირა მარი

1:0 რიკარდუ სოუზა (86)

პორტუ	19	16	3	0	44:11	51
სპორტინგი	19	15	1	3	38:18	46
ბენფიკა	19	12	4	3	38:19	40
ბრაგა	19	10	3	6	21:24	33
ბეირა მარი	19	9	4	6	28:23	31
ბოავიშტა	19	8	6	5	18:14	30
მარიტიმუ	19	7	9	3	21:18	30
ნასიონალი	19	8	3	8	32:20	27
რიუ ავე	19	6	7	6	21:17	25
მორეირენსე	19	6	5	8	16:23	23
ჟილ ვისენტე	19	5	7	7	26:23	22
ლეირია	19	6	4	9	23:31	22
ალვერკა	19	5	4	10	19:25	19
ბელენენსეში	19	4	7	8	24:34	19
გიმარაეში	19	3	6	10	18:26	15
აკადემიკა	19	4	3	12	15:25	15
ფერეირა	19	4	2	13	10:29	14
ამადორა	19	3	2	14	14:46	11

სარგებელი ᲓᲐ კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I დივიზიონი. XXIV ტური						
		28 იანვარი						
23.45	051	დერბი-შეფილდი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
		გერმანია						
		ბუნდესლიგა. XVIII ტური						
		30 იანვარი						
23.30	014	დორტმუნდი-შალკე	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		31 იანვარი						
18.30	015	ვერდერი-ჰერტა	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
18.30	016	შტუტგარტი-ჰანზა	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
18.30	017	აინტრახტი-ბაიერნი	5,0	3,4	1,65	2,02	1,24	1,11
18.30	018	ბოხუმი-ვოლფსბურგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.30	019	მიუნხენი-კაიზერსლაუტერნი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
18.30	020	კიოლნი-მიონხენგლადბახი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		1 თებერვალი						
20.30	021	ჰანოვერი-ჰამბურგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
20.30	022	ფრაიბურგი-ლევერკუზენი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
		იტალია. სერია A. XIII ტური						
		28 იანვარი						
23.30	025	მილანი-სიენა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	026	მილანი-სიენა 0:1	1,6	3,2	3,6			
		საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური						
		28 იანვარი						
24.00	202	ლიონი-ბორდო	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03
		ჰოლანდია. I დივიზიონი. XVIII ტური						
		28 იანვარი						
23.00	254	ნაიმეგენი-ფეიენოორდი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
23.00	255	პსვ-ზვოლე	1,05	8,0	20,0	1	1	5,71
23.00	256	ბრედა-გრონინგენი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
23.00	257	უტრეხტი-როზენდალი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.00	258	ვოლენდამი-ვალვაიკი	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38
23.00	259	ალკმაარი-ტილბურგი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
23.00	260	ჰერენვენი-აიაქსი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.00	261	დენ ჰააგი-როდა	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.00	262	ტვენტე-ვიტესი	1,55	3,8	5,3	1,1	1,19	2,21
		ინგლისი. ლიგის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები						
		28 იანვარი						
24.00	351	მიდლსბრო-არსენალი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
		ესპანეთი. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები						
		28 იანვარი						
23.00	352	სელტა-ალავესი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
23.00	353	ატლეტიკო-სევილია	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
00.30	354	ვალენსია-რეალი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
		29 იანვარი						
00.30	355	სარაგოსა-ბარსელონა	2,8	3,2	2,3	1,49	1,26	1,33
		საბერძნეთი. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები						
		28 იანვარი						
22.00	356	აკრატიტოსი-პროდეფტიკი	1,8	3,2	3,4	1,15	1,17	1,64
		თურქეთი. თასი. 1/8 ფინალი						
		28 იანვარი						
15.00	358	ბურსა-კონია	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
15.00	359	ისთანბული-ანკარაგიუჯიუ	2,2	3,3	2,8	1,32	1,23	1,51
18.00	360	გენჩლერბირლიგი-მალათია	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
20.00	361	დიარბაქირი-ტრაბზონი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
		29 იანვარი						
22.00	362	სამსუნი-ფენერბაჰჩე	3,5	3,2	1,9	1,67	1,23	1,19

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	28 იანვარი		
5325	მილანი-სიენა	1,85	1,75

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
	28 იანვარი						
5025	მილანი-სიენა	1,35	3,6	8,0	1	1,15	2,48

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	28 იანვარი		
5325	მილანი-სიენა	1,85	1,75

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანი წაგებულად ჩაითვლება)

	28 იანვარი		
5425	მილანი-სიენა	1,15	4,4

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	28 იანვარი			
5525	მილანი-სიენა	3,0	2,8	2,0

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

31.01 16.30	6001	ინგლისი პლ (XXIII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
30.01 22.30	6002	გერმანია ბლ (XVIII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
31.01 21.00	6003	იტალია A (XIX)	23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
31.01 22.30	6004	ესპანეთი Iდ (XXII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
30.01 24.00	6005	საფრანგეთი Iდ (XXII)	21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
30.01 00.15	6006	პორტუგალია სლ (XX)	22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
28.01 23.00	6007	ჰოლანდია Iდ (XVIII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
30.01 23.30	6008	ბელგია Iდ (XX)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	28 იანვარი		
5225	მილანი-სიენა	2,0	1,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	28 იანვარი									
5125	მილანი-სიენა	1,4	20,0	40,0	3,6	6,0	20,0	30,0	20,0	20,0

ჩემპიონები და თასის აღება

9001
ინგლისი (31.01)

მანჩესტერი	1,9
არსენალი	1,9
ჩელსი	5,0

9002
გერმანია (30.01)

ბაიერნი	1,5
ვერდერი	3,2
შტუტგარტი	5,0
ლევერკუზენი	7,0

9003
იტალია (31.01)

მილანი	2,15
რომა	2,6
იუვენტუსი	2,6

9004
ესპანეთი (31.01)

რეალი	1,35
ვალენსია	3,4
დეპორტივო	6,0

9005
საფრანგეთი (30.01)

მონაკო	1,1
ლიონი	5,3
პსჟ	8,0

9006
პორტუგალია (31.01)

პორტუ	1,08
სპორტინგი	5,0
ბენფიკა	15,0

9007
ჰოლანდია (28.01)

აიაქსი	1,4
პსვ	2,4

9008
ავსტრია (21.02)

აუსტრია	1,35
რაპიდი	4,0
გრაცერი	5,0

9009
დანია (14.03)

ბრიონდბიუ	1,3
ესბიერგი	4,0
კოპენჰაგენი	5,0

9010
საბერძნეთი (31.01)

ოლიმპიაკოსი	1,6
პანათინაიკოსი	2,0
პაოკ	6,0

9011
უკრაინა (15.02)

შახტარი	1,55
დინამო	1,95

9020
ჩემპიონთა თასი (24.02)
რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს

ინგლისი	1,8
იტალია	2,5
ესპანეთი	2,9
გერმანია	9,3
საფრანგეთი	13,6

9020
ჩემპიონთა თასი (24.02)

რეალი	4,0
მანჩესტერი	4,6
იუვენტუსი	5,0
მილანი	5,0
ჩელსი	6,0
არსენალი	6,0
ბაიერნი	15,0
დეპორტივო	20,0
შტუტგარტი	25,0
მონაკო	25,0
ლიონი	30,0
პორტუ	40,0
სოსიედადი	40,0
სელტა	50,0
ლოკომოტივი	100,0
სპარტა	150,0

9022
უეფას თასი (26.02)

რომა	5,6
ვალენსია	6,0
ბარსელონა	6,0
ინტერი	6,0
ლივერპული	6,0
ნიუკასლი	8,0
პარმა	10,0
სელტიკი	12,0
მარსელი	15,0
ბორდო	25,0
მალიორკა	25,0
პსვ	25,0
ოსერი	25,0
გალათასარაი	30,0
ბრიუგე	30,0
პერუჯა	30,0
ბენფიკა	30,0
ვილიარეალი	30,0
ბეშიქთაში	30,0
სოშო	40,0
პანათინაიკოსი	40,0
რუსენბორგი	50,0
სპარტაკი	60,0
გენჩლერბირლ.	60,0
ბრიონდბიუ	60,0
გახიანთეფი	100,0
გროცლინი	100,0
ტეპლიცე	100,0
დნიპრო	100,0
ლევსკი	150,0
დებრეცენი	250,0
ვოლერენგა	250,0

9031
NHL (05.04)

კოლორადო	4,5
დეტროიტი	5,0
ფილადელფია	5,5
ვანკუვერი	6,0
ნიუ ჯერსი	6,5
ოტავა	7,0
ტორონტო	7,5
სტ.ლუისი	10,0
დალასი	12,0
ტამპა ბეი	20,0
ბოსტონი	20,0
ლოს ანჯელესი	20,0
სან ხოსე	25,0
რეინჯერსი	25,0
ატლანტა	30,0
კალგარი	30,0
ანაჰაიმი	35,0
მინესოტა	35,0
აილენდერსი	40,0
მონრეალი	50,0
ედმონტონი	60,0
ფინიქსი	60,0
კაროლინა	75,0
ჩიკაგო	75,0
ნეშვილი	75,0
ბუფალო	100,0
ფლორიდა	100,0
კოლამბუსი	125,0
პიტსბურგი	125,0
ვაშინგტონი	125,0

ელექტრონული ბიბლიოთეკა

9032
NBA (15.04)

ლეიკერსი	1,65
საკრამენტო	4,5
სან ანტონიო	5,0
დალასი	8,0
ინდიანა	10,0
დეტროიტი	12,0
მინესოტა	12,0
ნიუ ჯერსი	15,0
ნიუ ორლეანი	25,0
ფილადელფია	40,0
ჰიუსტონი	50,0
ბოსტონი	60,0
დენვერი	60,0
ნიუ იორკი	60,0
პორტლენდი	60,0
ტორონტო	60,0
სიეტლი	75,0
იუტა	75,0
მილუოკი	75,0
გოლდენ სტ.	100,0
მემფისი	100,0
ფინიქსი	100,0
კლიპერსი	150,0
ორლანდო	150,0
მაიამი	200,0
ატლანტა	250,0
ვაშინგტონი	250,0
ჩიკაგო	250,0
კლივლენდი	300,0

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	

ავსტრალიის ღია პირველობა 2004

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

ამელის ცრემლი

მორესმოს ზურგმა ზურგი უჩვენა



REUTERS მელბურნიდან

ამხელა ლინდსი დევენპორტმა ჭინკა ჟუსტინ ენენი ვერ გადასძალა

REUTERS მელბურნიდან

ფრანგი დედაკაცი ამელი მორესმო ბავშვივით აცრემლებულა

მეოთხედფინალი

კაცები

მარატ საფინი (რუსეთი) — ენდი როდიკი (1, აშშ) 2:6, 6:3, 7:5, 6:7 (0:7), 6:4; ანდრე აგასი (4, აშშ) — სებასტიან გროჟანი (9, საფრანგეთი) 6:2, 2:0 გროჟანმა შეწყვიტა

ქალები

ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) 7:5, 6:3; ფაბიოლა სულუაგა (32, კოლუმბია) — ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) მორესმოს არ უთამაშია

თავისი 24-ე დაბადების დღე რუსმა გოლიათმა მარატ საფინმა სანაქებო და გამორჩეული გამარჯვებით აღნიშნა.

მართალია, ჩოგბურთზე მწერალთა დიდი უმრავლესობა მისი და ენდი როდიკის საგუშინდლო მატჩის ფავორიტად ამქრის უსტაბაშს ასახელებდნენ, გუშინ ყველა დარწმუნდა — თავისზე ორი წლით უფროსსა და სამი წლით ადრე გაპროფესიონალებულ საფინს ენდიბოი ჯერ კიდევ ვერ ეტოლება.

და ეს არა მარტო იმიტომ, რომ რუსი მასზე ექვსი სანტიმეტრით მაღალიცაა. არა — მათი უტოლობის მიზეზი უფრო იმაში უნდა ვეძებოთ, რომ საფინს აქვს ყველაფერი ის, რაც აქვს როდიკს, მაგრამ ამასთან ერთად აქვს ისეთი რაღაცებიც, რაც როდიკს ჯერ არა აქვს.

ეს უწინარესად საშინელი ჯანი, მეტი მრავალფეროვნება და — თქვენ წარმოიდგინეთ — უფრო ცინცხალი გონებაა.

დიახ — ლოთურად ჩაბარებულ პირველ სეტსა და მესამე სეტის ნულზე წაგებულ ტაიბრეიკს თუ არ ჩავთვლით, გუშინ საფინი უფრო მძლავრად, უფრო მრავალნაირად და უფრო გონივრულად უბრახუნებდა.

აქა-იქ უპირატესობის მიღწევასა და შენარჩუნებას როდიკი ძირითადად ბარაქიანი მოწოდებითა და ბრწყინვალე ხელწაღმით ახერხებდა, მაგრამ ეს ვერ გამოდგა საკმარისი რუსის უფრო ნაირგვარი, თანაბრად განვითარებული არსენალის წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ გაუთავებელმა ტრავმიანობამ რუსს მთელი შარშანდელი სეზონი წაუმურდლა და რეიტინგსიის ზეათეულიდან 86-ე ადგილამდეც ჩააქვეითა.

როდიკს კი ის გუშინ მეორედ ხვდებოდა და ახლა უკვე 2:0 უგებს.

ნახევარფინალში საფინი 33 წლის ანდრე აგასის შეერკინება, ვინაც — თავის მხრივ — გუშინ კარიერის ალბათ ყველაზე იოლი სამეოთხედფინალო გამარჯვება მიითვალა.

ეს ანდრეს ზედიზედ 26-ე მელბურნული მოგება იყო, ხოლო იოლი ის იმიტომ გამოდგა, რომ სებასტიან გროჟანმა პირველ სეტში საზარდული დაიჭიმა და ტრავმის გამიზეზებას დროზე წასვლა ამჯობინა.

აგასი ნამატჩევს უკმაყოფილობდა, აქაოდა უფრო დიდხანს გარჯა მერჩიაო. მერე კი საფინის ქებად დავარდა და ეგეთ ვირგლებთან თამაში არასოდეს მხიბლავდაო, ასე დასძინა.

სხვათა შორის, აგასისა და საფინს ერთმანეთში ოთხჯერ უთამაშიათ და თათარრუსის ერთი მოგების წილ არმენოამერიკელი სამ მოგებას მოიძევს. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბოლოჯერ მათ 2000 წელს, ლისაბონურ მასტერთასზე ითამაშეს.

სხვაფრივ — თუკი ნახევარფინალში მოსახვედრად ანდრე აგასის 8 გეიმის თამაში მაინც მოუხდა, ფაბიოლა სულუაგას საიმისოდ, რათა რაგინდარა სლემნახევარფინალში გასული პირველი კოლუმბიელი გამხდარიყო, გუშინ ჩოგანი საერთოდ არ გაუნძრევია.

ფრანგ დედათმავალ ამელი მორესმოს, რომელიც საამწყვილოდ უცილობელ ფავორიტად მიიჩნეოდა, მცირე-მცირე ტრავმები მთელი ტურნირის განმავლობაში აწუხებდა, მაგრამ ნახევარფინალისთვის ბრძოლა ზურგიელი კუნთის დაჭიმულობის გამო იუარა.

ეს სულუაგა 25 წლის ქალია, 2001 წელი ტრავმების გამო ჩაუვარდა და ზეპურ მარაქაში დასაბრუნებლად მერე დასტურ დიდი შრომა გასწია.

ჩოგბურთს ის 7 წლიდან თამაშობს, 13-დან ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში იწრთობოდა, ხოლო საუფროსო ტურნირებში 15-16 წლისა ჩაერთო.

მიუხედავად იმისა, რომ აქამდე მხოლოდ სამი ტიტული მოუნაგრავს და აქედან ორი — მშობლიურ დედაქალაქ ბოგოტაში, შინ მას უკვე ცნობილი მეფორმულაერთეს ხუან პაბლო მონტოიასა და ფეხბურთელის ხუან პაბლო ანხელის გვერდით მოიხსენიებენ.

ცხადია, წლევანდელი წარმატებული მელბურნობის შემდეგ მას კოლუმბიაში კიდევ უფრო დიდ პატივი მიეგება.

თუმცა შინ დაბრუნებამდე მას ნახევარფინალში თამაში და იქ ჟუსტინ ენენ-არდენისგან განადგურება მოელის.

ეს რომ მართლაც ასე იქნება და არა სხვაგვარად, გუშინ ყველანი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა ენენისა და ამქრის ყოფილ პირველოსანს, ლინდსი დევენპორტის განდაგანა ვიხილეთ.

ლინდსიმ, ვინაც ენენზე ექვსი წლით უფროსია, 22 კილოგრამით მძიმეა და ჯერ-ჯერობით ერთზე მეტ სლემტიტულს დაიკვეხს, მატჩი შთამბეჭდავად დაიწყო და უმალ 4:0 დაწინაურდა.

მაგრამ მერე ჭინკა ჟუსტინმა ხელი გამოიღო, აზრზე მოვიდა და ისე მძლავრად, ისე მრავალფეროვნად და ნატიფად ათამაშდა, რომ თუმც ღონივრად მოგლავჯუნე, მაგრამ შეუდარებლად მწირი არსენალით აღჭურვილ ლინდსის ჩოგნის გასავსავების მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

ჭინკამ პირველ სეტში სამი სეტპოინტიც მოიგერია, მერე ხელი უტაიბრეიკოდ ჩაითამაშა და საქმეში ჩახედულთათვის ნათელი გახდა — სადავეების გამშვები ის უკვე აღარ იყო.

ბოლო წლის განმავლობაში საოცრად განვითარდაო, ვერ მალავდა წარმატებული მეტოქით აღფრთოვანებას დევენპორტი. უფრო ჯანიანია, უფრო მაგრად აწვდის და შარშანდელი გამარჯვებების შემდეგ გაცილებით უფრო თავდაჯერებულიაო.

მოკლედ — კიმ კლაისტერს იქით კოჭმა თუ არ უმტყუნა, ბოლო ოთხ სლემტურნირზე უკვე მესამე შიდაბელგიურ ფინალს ვნახავთ.

ისე კი — ენენსა და დევენპორტს აქამდე ექვსჯერ ეჩოგნავთ და ერთადერთი გამარჯვება ჟუსტინმა შარშანდელი მელბურნობის მეოთხე წრეში მოიხვეჭა. თუ არ გახსოვთ, ისიც კაი მაძღარი და ხორცსავსე თამაში იყო — 7:5, 5:7, 9:7.

ლევან კელაურაძე

ჭიდაობა

თავისუფლად ივარჯიშეთ

ქართული ჭიდაობა თოვლში ხურდება

ფოტო ფოლიანტიდან

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებს უკვე ხუთი ლიცენზია აქვს

შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრებში ოლიმპიური ლიცენზიის გარეშე ორი წონაღაა დარჩენილი. ნაახალწლევს ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატის მოგებით ბესიკ გოჩაშვილმა (55 კგ) და გელა საღირაშვილმა (74 კგ) ყველა დაარწმუნეს, რომ მომავალი სალიცენზიო ტურნირებისთვის ქვეყნის ღირსება კვლავაც მათ უნდა დაეცვათ.

საგზურის მაძიებელთ წინ ორი ტურნირი აქვთ. პირველს 1-2 თებერვალს სლოვაკური ბრატისლავა უმასპინძლებს, თებერვლის შუა რიცხვების ბულგარული შეჯიბრი კი საგზურის მაძიებელთათვის ბოლო შანსი იქნება. ულიცენზიო ქართველებს ახლო მომავალში გია გალდავა დამოძღვრავს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე სამუშაოს რამდენიმე თვით გამოაკლდა პირადი პრობლემების გამო.

ათენში ჭიდაობის უფლების შარშანვე დამბევებლებმა დავით პოღოსიანმა (60 კგ), ოთარ თუშიშვილმა (66 კგ), რევაზ მინდორაშვილმა (84 კგ), ელდარ კურტანიძემ (96 კგ) და ალექსი მოდებაძემ (მძიმე) წინასაოლიმპიადო სამზადისი უკვე დიწყეს. 26 იანვრიდან 8 თებერვლამდე ბაკურიანში ნაკრების წევრკანდიდატთა 25-კაციანი შეკრებაა, რომელსაც დავით ხურცია, მარლენ ოსიყმაშვილი და კობა ლოჩოშვილი უძღვებიან.

ოფიციალურ ტურნირებამდე საკმაო დროა და ალბათ ბაკურიანში ძირითადი ყურადღება ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა, თუმც ალბათ ტაქტიკასაც რომ არანაკლები ყურადღება მიექცევა, თითო წონაში 3-4 მოჭიდავის წაყვანაც ადასტურებს.

ბოლოს ისევ გოჩაშვილ-საღირაშვილზე გეტყვით. ისინი გალდავასთან ერთად დღეს დილით მოსკოვს გაფრინდნენ და რამდენიმე დღე იქვე დარჩებიან. ეს დრო სავიზო პრობლემების მოგვარებას დასჭირდება. პარალელურად მოჭიდავეები რომელიმე ადგილობრივ დარბაზში ივარჯიშებენ.

ოთარ მაღლაკელიძე

ლეგენდა ლეგენდაზე

ბლანკოს ქვევრი, გალუაზი, ფეშენი და ლელო სახელად „მარადონა“

— მუსიე სერჟ, ახალი შეკვეთა მივიღეთ, ბოლო მოდელის კოსტიუმების დიდ პარტიას ითხოვენ.

— მერე გავაგზავნოთ, რა გვიშლის ხელს?!

ამ დიალოგს ვერც ვერსაჩეს და ვერც ჯორჯო არმანის ატელიეში შეესწრებით. საფრანგეთში არის ასეთი ატელიეთა ქსელი „სერჟ ბლანკო“. თუ რაგბის სტაჟიანი მაყურებელი არა ხართ, გაცნობებთ — სერჟ ბლანკო მსოფლიო რაგბის ცოცხალი ლეგენდა და მე-20 საუკუნის საფრანგეთის საუკეთესო მორაგბე გახლავთ. ხოლო მათ, ვინთ სერჟ ბლანკოს მხოლოდ მორაგბედ იცნობენ, ვეტყვით — ახლა ის მოდაში „ტრიალებს“, თავისი ფირმის ფილიალებს დაივლის და მისი ინიციალებით დამშვენებულ ფეშენტანსაცმლის გასაღების ამბავს იკითხავს.

46 წლის ბლანკო დღეს საფრანგეთში მდიდარ კაცად ჩაითვლება. იგი მარტო მოდის პრინცი კი არა, საფრანგეთის სარაგბო ლიგის პრეზიდენტიცაა. სარაგბო ამბავში ქვეყანაში მეორე კაცია. მასზე მაღლა ოდენ საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე დგას.

ყველაფერი 46 წლის წინ დაიწყო. კარაკასში ბასკ (ფრანგულად გასკ) მამას და ვენესუელელ დედას ბიჭი შეეძინათ. ახალშობილს სერჟი დაარქვეს, უფროსი ბლანკო მაინც ფრანგი იყო და მაშინ ცოლოურს დროებით სტუმრობდა.

ოჯახი მალევე დაბრუნდა საფრანგეთში. სერჟი ბასკურ ქალაქ ბიარიცში იზრდებოდა და როგორც თანატოლთა უმეტესობა მრგვალ ბურთს დასდევდა.

„ფეხბურთს დიდი სიამოვნებით ვთამაშობდი, ყოველ კვირა საღამოს სტადიონზეც დავდიოდი და პირველი დივიზიონის მატჩებს ვუყურებდი. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. თქვენ წარმოიდგინეთ ქალაქის ბავშვთა გუნდში დიდი პერსპექტივის მოთამაშედ მიცნობდნენ — რომელიმე ცნობილ საფეხბურთო სკოლაშიც მიპირებდნენ მოწყობას, მაგრამ მრგვალი ბურთი ოვალურმა გადაწონა. 13 წლისამ ხელში ნესვა ბურთი დავიჭირე და დაიწყო...“ — იხსენებს სერჟი.

დაწყებით კი მართლაც დაიწყო და თან როგორ! მოუსვენარი, საოცრად პლასტიკური შავტუხა ბიჭუნა სარაგბო კლუბ „ბიარიცის“ ჭაბუკთა გუნდში აღმოჩნდა, და, სხვათა შორის საკლუბო კარიერის დასრულებამდე იქვე დარჩა.

„მახსოვს, სახლში ძლივს მიმქონდა ფეხები, ერთი სული მქონდა, ვარჯიშის შემდეგ რბილ სავარძელში ჩავგდებულიყავი და გემრიელად დამეძინა. როცა პირველ გუნდში გადამიყვანეს, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს ჯოჯოხეთური ვარჯიშები, ხუთშაბათს მატარებლით ან ავტობუსით მგზავრობა, პარასკევს დილით მსუბუქი ვარჯიში, საღამოს კარტი ან საყიდლები, შაბათს — თამაში, კვირას კი ექიმებში სიარული და შინისაკენ!“

ექიმებში ბლანკო შინაური კაცი იყო. როგორც ყველაზე მოუხელთებელ და სახიფათო მოთამაშეს, მას ყველაზე მეტი ხვდებოდა. „თუ მეტოქე ხელში ჩამიგდებდა, ვაი შენს ბლანკოს... სხეული ერთიანად დაჟეჟილი მქონდა. მეგობრები მეხუმრებოდნენ, მატჩის შემდეგ გამზადებული დაკეპილი ხორცი ხარ, მარტო ცეცხლი გაკლიაო.“

ფრანგული რაგბის ვარსკვლავად ქცეული 20 წლის სერჟი, ასეთ გრაფიკშიც ახერხებდა კუნთების და ნერვების მოდუნებას — „ორად ორ რამეში არ ვზღუდავდი თავს. როგორც კი დრო მქონდა, ეგრევე კინოში გავრბოდი და ბარბარა სტრეიზანდის მონაწილეობით ფილმებს უნახავივით ვუყურებდი, „სათამაშო გოგონა“ რამდენჯერმე მაქვს ნანახი და მისი ყურებით ვერ გავძეხი. სტრეიზანდი ჩემი საყვარელი მსახიობია.“

მეორე გართობა? რაც უნდა პარადოქსული იყოს, სიგარეტი და ღვინო. დღეში ერთი კოლოფი „გალუაზი“ და ერთი ბოთლი შავი „ბორდო“ ბლანკოს დღიური ნორმა იყო. თამბაქოს და ღვინოს ტრფიალს ხშირად წამოაძახებდნენ ხოლმე, მაგრამ მან მოედანზე ჯადოქრობით ყველა ჩააჩუმა. ბიჭი დაფრინავდა და ტაიმებს შორის მოწეულ ორ ღერ „გალუაზს“ ვინ „დაამადლიდა“.

ფრანგების სათაყვანო სერჟ ბლანკო თავად „ბორდოს“ ეთაყვანება

ეს მავნე ჩვევები ბლანკოს ნაკრებში გამოჩენისასაც მიივიწყეს. 20 წლისამ სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ ითამაშა და აქედან მოყოლებული 15-ნომრიანი მაისურა 11 წელი არ გაუხდია. 1981 და 1987 წელს ბლანკოს ჯადობურთაობით საფრანგეთმა ხუთი ერი დიდი სლემით მოიგო, ბლანკო კი რაგბის ლეგენდა გახდა.

1987 წელს, პირველ მსოფლიოს თასზე პირადად ბლანკომ გაიყვანა საფრანგეთი ფინალში. ნახევარფინალში ავსტრალიასთან მისი ლელო კი ოდესმე გატანილ საარაკო ლელოებში ერთ-ერთი საუკეთესოა. ის ჯადოლელო ერთი წლით ადრე საფეხბურთო მუნდიალზე ინგლისელთა კარში გატანილ მარადონას მეორე გოლსაც შეადარეს. ლელო კი ასე გამოცხვა: ზედ საფინალო სასტვენის წინ ფრანგთა ლელოსთან ერთ მეტრში რაქია. ავსტრალიელი და ფრანგი მორკინალები თავპირს ამტვრევენ ერთმანეთს. თუ ბურთი მეტოქემ იგდო ხელთ, მორჩა „მამლების“ ამბავი. ბურთი ბლანკოს მიუვიდა. აუტი? ვაი თუ მსაჯმა ჩასტვინოს და თამაში დაამთავროს. მეტოქის მოედანში ჩაკიდება? ვუი თუ ცუდად ახტეს, ოვალია, რას გაუგებ, ვის მიუვა? ვერავინ ხვდება რას იზამს ბლანკო... ის კი დგამს ერთ ნაბიჯს, მერე მეორეს, სიჩქარეს უმატებს, თავისი ლელოდან თავხედურად უტევს, უტევს... ასი მეტრი ისე გაირბინა, ხელის მოკიდება კი არა, ფინტებით გაბრუებულმა ავსტრალიელებმა თვალის გაყოლებაღა მოახერხეს.

ოვალური ბურთის ჯადოქარი სერჟ ბლანკო საფრანგეთში ყველა დროის უდიადეს მორაგბედ აღიარეს

ბლანკოს „ფულბეკების პრინცი“ შეერქვა და მთელმა სარაგბო მსოფლიომ აღიარა, რომ ის გენიოსია. გენიოსმა 1991 წელს ბოლოჯერ ითამაშა „მამლებში“, ეს ინგლისთან მოხდა და 93 კეპით და 38 ლელოთი (ფრანგული რეკორდია) დაემშვიდობა ნაკრებს. ერთი წლის შემდეგ კი საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში ითამაშა თავისი ბოლო მატჩი. მისი „ბიარიცი“ „ტულონთან“ 14:19 დამარცხდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, საკლუბო დონეზე ბლანკო საფრანგეთის ჩემპიონობას ეგრეც ვერ შესწვდა, არადა შეეძლო. მას „სტად ფრანსე“, „ტულონი“ და „ტულუზა“ კალთებს ახევდნენ, მაგრამ სერჟმა მშობლიურ კლუბს ბოლომდე უერთგულა. 311 მატჩი, 111 ლელო, 128 გარდასახვა, 159 საჯარიმო და 19 არეკნი — ასეთია ბლანკოს ბიარიცული მონაგარი.

სიმბოლურია, ბლანკოს ბოლო ბიარიცული მატჩიდან ზუსტად ათი წლის თავზე „ბიარიცმა“ საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში „აჟენი“ დაამარცხა და 1939 წლის შემდეგ, როგორც იქნა, გახდა ქვეყნის უძლიერესი გუნდი.

დღეს ბლანკო მოედანზე აღარ დაჰქრის, სამაგიეროდ თავის პორშე 911-ს შლეგიანად აჯირითებს პარიზის ქუჩებში, უპრესტიჟულეს ბინაში ნახევარი სართული უკავია. მეუღლე ჟულიანას და ორ ვაუს სტეფანს და სებასტიანს სასიამოვნო სიურპრიზებს არ აკლებს, საღამოობით ერიკ ნოასთან ერთად ჩოგნის გაქნევაზეც არ ამბობს უარს. არც ბავშვობის გატაცება დავიწყებია და შიგადაშიგ მიშელ პლატინის კომპანიაში მრგვალ ბურთსაც გააგორებს ხოლმე.

ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა, რაგბის ეროვნული ლიგის პრეზიდენტი ხომ არის და უქმეებზე ქალაქიდან ქალაქში, ქვექნიდან ქვეყანაში დადის. აი, ერთი კვირის მაგალითი: პარასკევს, ბელფასტში, სარაგბო ჩემპიონთა ლიგის „ოლსტერი“ — „ბიარიცის“ მატჩზე იყო, შაბათს ედინბურგში „გლაზგო“ — „ტულუზის“ საყურებლად ჩავიდა და მისი ბარგი ედინბურგსა და პარიზს შორის რომ არ დაკარგულიყო, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ კვირას საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში ჩაფრინდებოდა და „ლესტერი“ — „ბეზიეს“ ჯახს დაესწრებოდა. ბილეთი შეკვეთილი ჰქონდა.

სხვა დროს კი... მუსიე სერჟ, ახალი შეკვეთა მივიღეთ...

ბაჩო სვანიძე

რასაც დასჭრავენ, ბიბლიოთეკა მეცხრე

რა მიზნებს, ამოცანებსა და იმედებს უკავშირებენ ათენის ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლები?

ამ კითხვაზე პასუხი გასცა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კონსტანტინოს სიმიტისმა, რომელიც ამ ქვეყნის მთავრობის სხდომაზე გამოვიდა. მან განსაზღვრა ოლიმპიადა 2004-ის ძირითადი მიზნები:

პირველი, ეს არის ამ ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების ბრწყინვალედ ჩატარება და მასპინძელთა მიერ საუკეთესო სპორტული შედეგების ჩვენება;

მეორე — ეს გახლავთ საბერძნეთის პრესტიჟის გამტკიცება მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში;

მესამე — თამაშების მზადების პერიოდში ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, საგარეო წლიური პროდუქტის ზრდისა და ქვეყანაში მუშახელის დასაქმების სტიმულირება;

და მეოთხე — ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ოლიმპიური ბაზების გამოყენება.

როგორც სიმიტისმა განაცხადა, ოლიმპიური თამაშების სამზადისისთვის 4,6 მილიარდი ევრო დაიხარჯება.

ცნობილი გახდა ათენის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით უშიშროების დაცვის ზოგიერთი დეტალიც. მაგალითად, სხვადასხვა ადგილებში დამონტაჟდება სპეციალური მოწყობილობები, რომლებიც რადიოაქტიური გამოსხივებისადმი არიან მგრძნობიარენი. ამას გარდა, ოლიმპიადის უშიშროების სამსახური გეგმავს სპორტული ობიექტების კარ-ფანჯრებისა და სანაგვე ურნების იმდაგვარად აღჭურვას, რომ მათ აფეთქების ტალღას გაუძლონ, საამისოდ კი 7 მილიონი ევროს გამოყოფას გეგმავენ.

იტალიას ცეცხლი აპულიადან ალპებამდე მოედგა

ახლა, როცა მთელი ყურადღება ათენი 2004-ისკენაა მიმართული, არც 2006 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ივიწყებენ, რომელიც ტურინში გაიმართება იტალიაში. ამ თამაშების საჩირაღდნო ესტაფეტის მარშრუტი გუშინ დამტკიცდა. იგი მთელ აპენინის ნახევარკუნძულს გაივლის მისი სამხრეთით მდებარე აპულიადან ალპების ფერდობებამდე.

ესტაფეტა გაისად 8 დეკემბერს დაიწყება და 64 დღეს გასტანს. მასში მონაწილეობას მიიღებს იტალიის ყველა რეგიონის 10 ათასი ათლეტი. ახალ ოლიმპიურ წელს მეჩირაღდნეები შეხვდებიან ნეაპოლში, ხოლო 2006 წლის 26 იანვარს დაგეგმილია ოლიმპიური ცეცხლის მიტანა კორტინა დამპეცოში, რითაც ამ სამთო კურორტში 50 წლის წინათ გამართულ ზამთრის ოლიმპიური თამაშების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს აღნიშნავენ.

ამთანდილ ბუკვიშელი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

განჯევების თითი

ორლანდოს თავის მართლების მიზეზი გაუჩნდა

26 იანვარი

კლივლენდი 99:98 ორლანდო

კლივლენდი: ჯეიმსი (16), მაკინისი (7), ე. უილიამსი (12), ბუზერი (23 ქულა, 16 მოხსნა), ილგაუსკასი (11 ქულა, 12 მოხსნა); ვაგნერი (21), ოლი (5), დიოპი (2), ბრაუნი (2), ნიუბლი

ორლანდო: ლუ (4), გირიჩეკი (8), მაკგრეიდი (36), ჰოვარდი (21 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), დეკლერკი (3); შ. უილიამსი (14), სტრიკლენდი (5), ფაჩულია (9 წუთი, 3 ქულა, 5 მოხსნა), ჰანტერი (3), გუდენი (1)

დენვერი 95:97 მინესოტა

დენვერი: მილერი (24 ქულა, 10 პასი, 10 მოხსნა), ბოუენი (2), ენტონი (14), ნენე (9), კემბი (6 ქულა, 13 მოხსნა); ბოიკინსი (18), ანდერსენი (15 ქულა, 10 მოხსნა), ვაიტი (7)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

მინესოტა: კასელი (22 ქულა, 11 პასი), ჰასელი, სპრიუელი (13), გარნეტი (31 ქულა, 13 მოხსნა), ჯონსონი (2); ჰოიბერგი (9), მადსენი (8), ტრენტი (8), ჰადსონი (4), მილერი

ვაშინგტონი 83:94 პორტლენდი

ვაშინგტონი: ნაითი (10), დიქსონი (30), ჰეიესი (4), ბრაუნი (11 ქულა, 10 მოხსნა), ტომასი (7); ჰეივუდი (12), ბლეიკი (5), ჯეფრისი (2), ბრაგსი (2), ლეიტნერი

პორტლენდი: სტუდემაიერი (18 ქულა. 11 პასი), ანდერსონი (10), მაიზი (10), რენდოლფი (16), ვოლესი (16); პერსონი (12), პატერსონი (4), დევისი (4), ვუდსი (4)



უხეიროდ გავლილი სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ „ნიუ ჯერსი ნეტსის“ ბოსებმა დაითხოვეს მთავარი მწვრთნელი ბაირონ სკოტი და მისი ასისტენტი ლოურენს ფრენკი დააწინაურეს

მილუოკი 93:92 სან ანტონიო

მილუოკი: ტომასი (22), რედი (21)

სან ანტონიო: პარკერი (26), დანკანი (22)

მაიამი 95:81 ჰიუსტონი

მაიამი: ჯონსი (27), ოდომი (20 ქულა, 15 მოხსნა)

ჰიუსტონი: ტეილორი (16 ქულა, 10 მოხსნა)

იუტა 98:93 კლიპერსი

იუტა: არაოო (20), ოსტერტაგი (18 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება)

კლიპერსი: ბრენდი (18), მეჯიტი (15)

რომ არა წყეული ფეხის თითი, ორლანდოელმა არქიმექულე ტრეისი მაკგრეიდიმ ისე აკრიფა, უთუოდ რომელიმე რეკორდზე გაიწევდა. თუმც ერთი რეკორდი მაინც შემოემყარა, მაგრამ ჯერ მატჩისა ვთქვათ...

უბადრუკი „ორლანდო მეჯიკი“ თავისდარ „კლივლენდს“ სტუმრობდა და, რა თქმა უნდა, გამარჯვება ეწადა. „კლივლენდმა“ ბოლო 5 მატჩიდან 4-ში იმარჯვა და დაამტკიცა, რომ მხოლოდ ლებრონ ჯეიმსის იმედზე არ არის. „ორლანდოსთან“ კი ვუნდერლებრონიც გამოუჯანმრთელდა და რამეს დათმობდა?

ტრეისი მაკგრეიდიმ, ლებრონ ჯეიმსი არ ვიცი და თავიდანვე მისცხო კლივლენდელებს. „ისე გაუტია, აზრზე არ ვიყავი, როგორ შეგვეჩერებინა“ — აღიარა „კავალერიის“ მხედართმთავარმა პოლ საილასმა. თიმექი მართლაც შეუჩერებელი იყო და კლივლენდელებსაც უთუოდ დამწუხრებდა, მაგრამ მესამე მეოთხედში ფეხის თითის ტკივილმა მოედანი დაატოვებინა.

„მე ვიცი ჩემი თავის ამბავი და იმიტომაც გავედი მოედნიდან — განმარტა მაკგრეიდიმ — ძალიანაც მინდოდა თამაში, ხალხი ხომ მე და ლებრონის დუელის საცქერლად იყო მოსული, მაგრამ თითმა არ გამიშვა.“

სანამ მოედანს დატოვებდა, მაკგრეიდიმ დიდი საქმეები აკეთა — პირველ ტაიმში რვა სამქულიანი ჩაგდო და მხოლოდ მე-9, სირენის თანხლებით ნასროლი ააცილა. ამით მან გაიმეორა ერთ ტაიმში ჩაგდებული სამქულიანების რეკორდი, რომელიც ზიარად ოთხ კალათბურთელს ეკუთვნის — კობი ბრაიანტს, რეი ალენს, ტიმ ტომასსა და მაიკლ რედს ერთ ტაიმში 8 სამქულიანი ჩაუგდიათ. მაკგრეიდიმ 36 ქულით დატოვა მოედანი, რის შეგროვებასაც მხოლოდ 25 წუთი მოანდომა. ასე რომ, რომ არა თითი...



„სან ანტონიოს“ „მილუოკის“ დასამარცხებლად ტიმ დანკანის ეს არჩათვლილი ბურთი დაჟლდა

მაკგრეიდიმ მოედნიდან ორლანდოელთა გულები გაიყოლა, თუმც უყოჩოდ დარჩენილ ფლორიდელებს კვლავ მიეცათ იმედი, როცა თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ასევე ტრავმის გამო მოედანი ლებრონ ჯეიმსმაც დატოვა.

თამაშიც გათანაბრდა და ბოლო წამებამდე შეინარჩუნა ინტრიგა. „კლივლენდს“ უშველა ბოლო მატჩებში ათამაშებულმა და გასული კვირის საუკეთესო აღმოსავლელად აღიარებულმა კარლოს ბუზერმა, რომელმაც არაერთი საკვანძო ბურთი ჩაგდო. გადამწყვეტი საჯარიმოები კი ერიკ უილიამსმა მოინადირა.

ყველაფერ ამას ძირითადად სათადარიგო სკამიდან უცქირა ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც 9 წუთში 5 ბურთის მოხსნა და სამი საჯარიმოს ჩაგდება მოასწრო.

სკამს დაძმობილებია ნიკა ცქიტიშვილი, ვისმა „დენვერმაც“ აჯაგრული „მგლების“ „მინესოტა“ ისტუმრა და მედგარ ბრძოლაში დაეცა. ჯეფ ბზდელიკმა თამაში ისე დაიწყო, რომ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა. ტრავმირებული ვოშონ ლენარდის ნაცვლად ხუთეულში მგონი ნიკა ცქიტიშვილზე უკან მდგომი რაიან ბოუენი დააყენა, რომელიც მალევე გაიყვანა, მის ნაცვლად შესულმა ასევე სათადარიგო კრის ანდერსენმა კი გაამართლა.

„დენვერი“ უმეტესად იგებდა, მაგრამ კევინ გარნეტმა მაშინ გამოიღო ხელი, როცა „მგლებს“ გაუჭირდათ. „მამალ მგელს“ უსახელო ფრედ ჰოიბერგმაც წააშველა ხელი, „მინესოტამ“ ბოლო წუთნახევარში 7:1 იძალა და ამ გამარჯვებით ლიგის ყოჩ „საკრამენტოს“ გადაასწრო.

„ქართული“ გუნდებიდან გუშინწინ მხოლოდ „პორტლენდმა“ იმარჯვა, თუმც „ვაშინგტონის“ დამარცხებაში ვლადიმერ სტეფანიას არანაირი წვლილი არ მიუძღვის. იმ გუნდში, სადაც ოლსტარელი ცენტრი დეილ დევისი სათადარიგოდ უზით, სტეფანიას სათამაშო ვერ გამოიძებნება.

დღის მთავარი ამბავი კი მილუოკიში მოხდა, სადაც მოქმედი, თუმც უკვე ყველასგან გაკენწლილი ჩემპიონი „სან ანტონიო“ ერთხელაც ააბურთავეს. თამაშის გმირებად შეიქნენ მილუოკელი მაიკლ რედი და ტიმ ტომასი. პირველმა სირენამდე 20 წამით ადრე ტიმ დანკანის ხელებიდან ჩააგდო და „ხარირმებს“ ლიდერობა დაუბრუნა. ტომასმა კი დანკანსვე დაუფარა 2 წამით ადრე, თუმც ტიმოფეიმ მაინც მოიხელთა ბურთი, ჩატენა კიდეც, მაგრამ სირენამ ჰაერში მოუსწრო და გამარჯვების ორქულიანი მსაჯებმა აღარ ჩათვალეს.

ირაკლი პერტაია

ქალები საათმნოდ ამენთნენ

გუშინ ათენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შენობაში ქალთა კალათბურთის მახვშები შეიკრიბნენ. მსოფლიოს 12 საუკეთესო ნაკრების მწვრთნელები და გუნდის უფროსები მომავალი ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის კენჭისყრას დაესწრნენ.

კენჭისყრას მასპინძლობდა ფიბას გენერალური მდივანი პატრიკ ბაუმანი, რომელმაც მანდილოსნებს წარმატებები უსურვა და გუნდები ორ ჯგუფში გაანაწილა.

მაშ ასე — ათენის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირში ეს 12 ნაკრები შეებრძოლება ერთმანეთს, რომლებიც ჯგუფებში ასე განაწილდნენ:

A ჯგუფი: რუსეთი, ნიგერია, ბრაზილია, ავსტრალია, იაპონია, საბერძნეთი

B ჯგუფი: ჩეხეთი, ესპანეთი, ახალი ზელანდია, კორეა, ჩინეთი, აშშ

აღმოსავლეთი			
ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	22	20	52,4
ბოსტონი	22	24	47,8
ნიუ იორკი	20	26	43,5
ფილადელფია	19	25	43,2
მაიამი	19	26	42,2
ვაშინგტონი	13	30	30,2
ორლანდო	12	34	26,1
ცენტრალური			
ინდიანა	33	13	71,7
დეტროიტი	29	16	64,4
მილუოკი	25	19	56,8
ნიუ ორლეანი	25	19	56,8
ტორონტო	20	22	47,6
კლივლენდი	16	28	36,4
ატლანტა	14	31	31,1
ჩიკაგო	13	31	29,5

დასავლეთი			
შუა-დასავლეთი			
მინესოტა	31	12	72,1
დალასი	28	16	63,6
სან ანტონიო	29	17	63,0
ჰიუსტონი	26	18	59,1
მემფისი	25	18	58,1
დენვერი	26	21	55,3
იუტა	22	22	50,0
წყნარი ოკეანე			
საკრამენტო	30	12	71,4
ლეიკერსი	26	15	63,4
სიეტლი	22	20	52,4
კლიპერსი	18	24	42,9
პორტლენდი	18	24	42,9
გოლდენ სტეიტი	18	25	41,9
ფინიქსი	16	29	35,6

NHL რეგულარული ჩემპიონატი

ერიმუშავეს ბიბლიოთეკარებ ბრწყინვალებავ

დეტროიტს თავდაცვას აძალებენ

26 იანვარი

რეინჯერსი 5:2 ფლორიდა

0:0 2:1 3:1

0:1 ჰუსელიუსი (30), 1:1 მესიე (31), 2:1 ლიჩი (38), 3:1 იაგრი (41), 3:2 რიჩი (42), 4:2 ნედვედი (57), 5:2 ბარნაბი (60)

ვინ იცის, „რეინჯერსს“ ეგებ სწორედ ისეთი შოკი სჭირდებოდა, წინა მატჩში „ოტავამ“ რომ აგემა. სანამ 9:1 არ დამარცხდნენ, ვერ მიხვდნენ, რომ ამგვარი უნიათობა ხეირს არ დააყრიდა. „ფლორიდასთან“ მატჩში სულ სხვა „რეინჯერსი“ ვიხილეთ. საუცხოო იყო იაგრიც — მან თავისი საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნა. იარომირის პასის შემდეგ ბრაიან ლიჩმა შესანიშნავად მოატყუა მცველი და თავისიანები დააწინაურა. შემდეგ თავად ჩეხმა გაზარდა სხვაობა, ბოლოს კი მეტიუ ბარნაბის ცარიელ კარში გაატანინა.

„იმ კოშმარის შემდეგ, ცხადია, დღეს შვება ვიგრძენი. როგორც ადრეც ვთქვი, ჩემი მიზანი „რეინჯერსის“ დახმარებაა. იმედია, სულ მალე დავიბრუნებთ საპლეიოფო იმედებს“ — ომახიანად განაცხადა იაგრიმ მატჩის შემდეგ.

ლოს ანჯელესი 2:2 მინესოტა

0:1 2:1 0:0 0:0

0:1 პარკი (10), 0:2 დაუდი (25), 1:2 სიმი (30), 2:2 რობიტაილი (38)

დალასი 2:2 დეტროიტი

1:1 0:0 1:1 0:0

0:1 დაციუკი (8), 1:1 ოლივერი (14), 1:2 ჰოლმსტრიომი (44), 2:2 ნუმინენი (54)

„დეტროიტს“ ახალი თავკაცის, დეივ ლიუმსის ტაქტიკური სქემები აშკარად არ მოუხდა. მოგეხსენებათ, ფხიზელ დაცვაზე აქცენტის გადატანა მეტად პოპულარული და ეფექტური სათამაშო სისტემაა თანამედროვე ნჰლში და ამას „ნიუ ჯერსის“ მაგალითიც ცხადყოფს. თითქოს არც „დეტროიტს“ უჭირს წლეულს, კვლავ ცხრილის სათავეშია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ შეტევაზე დაგეშილ მის ვარსკვლავებს დაცვაში მძიმე მუშაობა გულზე არ ეხატებათ. ამიტომაც „წითელფრთიანებს“ ყოველთვის უჭირთ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება. ამჯერადაც სტუმრები ორჯერ გავიდნენ წინ, მაგრამ საკმაოდ პრიმიტიულად მოქმედმა „დალასმა“ მაინც შეძლო ქულის მოპოვება. „დეტროიტელებმა“ ოვერტაიმში კი გაილაღეს, მაგრამ მეტოქემ რის ვაი-ვაგლახით დაიცვა კარი.

სამველ ღარიბიანი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

არ იღელვო, ბარიკელო
ფერარი ბიჭებს ეფერება

ფერარი

გუნდი დაარსდა 1929 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1950 წლიდან
686 რბოლა; 167 მოგება; 166 პოული;
167 უსწრაფესი წრე; 3987,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული — 13
კონსტრუქტორთა თასი — 13
2003 წელს — პირველი ადგილი (158 ქულა)
პრეზიდენტი ლუჯა კორდერო დი მონტეკემოლო (იტალია)
სპორტული დირექტორი შან ტოდტი (საფრანგეთი)
ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი (დიდი ბრიტანეთი)
ბოლიდი „ფერარი F2004“
(სიგრძე 4,5 მ; სიგანე 1,8 მ; სიმაღლე 0,96 მ)
ძრავა „ფერარი 053“ (V10)
საბურავები „ბრიჯსტოუნ პოტენცა“
ტესტ პილოტები ლუკა ბადოერი (იტალია, 33 წლის)
და ფილიპე მასა (ბრაზილია, 22 წლის)

მიხაელ შუმახერი

რუბენს ბარიკელო

გერმანია

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს
ჰურტ-ჰერმოლცჰაიმში
ცხოვრობს შვეიცარიაში
ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი
სიმაღლე 174სმ; წონა 74კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ბელგიის დიდი პრიზი (1991)
პირველი გამარჯვება:
ბელგიის დიდი პრიზი (1992)
195 რბოლა; 70 მოგება; 55 პოული;
56 უსწრაფესი წრე; 1038 ქულა
მსოფლიოს ექვსგზის
(1994, 1995, 2000, 2001, 2002, 2003)
ჩემპიონი
ასპარეზობდა „ჯორდანში“ (1991),
„ბენეტონში“ (1991-1995)
„ფერარიშია“ 1996 წლიდან

ბრაზილია

დაიბადა 1972 წლის 23 მაისს
სან პაულუში
ცხოვრობს მონტე კარლოში
ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი
სიმაღლე 172 სმ; წონა 77 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
სამხრეთ აფრიკის
დიდი პრიზი (1993)
პირველი გამარჯვება:
გერმანიის დიდი პრიზი (2000)
180 რბოლა; 7 მოგება; 9 პოული;
11 უსწრაფესი წრე; 337 ქულა
2002 წლის ვიცე-ჩემპიონი
ასპარეზობდა „ჯორდანში“
(1993-1996)
„სტიუარტში“ (1997-1999)
„ფერარიშია“ 2000 წლიდან

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

პრეზენტაციამდე ათიოდე დღით ადრე „წითლების“ ბანაკში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. „სკუდერიის“ ხელმძღვანელობამ რუბენს ბარიკელოსთან თანამშრომლობა ორი წლით გაახანგრძლივა. საერთოდ, ამგვარ საქმეს ჩემპიონატის წინ კი არ აგვარებენ, არამედ შუა სეზონში, ან ცოტა უფრო გვიან.

„ფერარის“ უფროსობას ამ ნაბიჯით მრბოლის დამშვიდება სურდა, რადგან ბრაზილიელს კონტრაქტი წლევანდელი სეზონის ბოლოს ეწურებოდა და სულ უფრო ძლიერდებოდა ეჭვი იმის შესახებ, რომ მას გუნდიდან გაუშვებდნენ. ასეთი ნდობით ფრთაშესხმული რუბინიო კი, ბოსთა აზრით, უფრო გულიანად ივჯირითებს. ამრიგად, ბარიკელო 2006 წლის ბოლომდე კვლავ მიხაელ შუმახერის მხარდამხარ იქროლებს, თუ თავად „წითელი ბარონი“ არ მოისურვებს კარიერის დათქმულ ვადამდე დასრულებას. შარშან მეექვსე საჩემპიონო ტიტულის შედარებით გაჭირვებით მოგების შემდეგ დიადმა გერმანელმა ერთი-ორჯერ თქვა, საგაისოდ „ბრიჯსტოუნი“ „მიშლენის“ დარ საბურავებს თუ ვერ დაგვიმზადებს, იქნებ მართლაც დავანებო თავი რბოლასო. მისი მილიონობით ფანების სასიხარულოდ, სადღეისოდ საგანგაშო არაფერია.

შუმი სხვა მძღოლებზე გვიან, 100-დღიანი შვებულების შემდეგ მხოლოდ ერთი კვირის წინ მიუჯდა საჭეს და ბარსელონაში თავის პირველ ტესტებზე არცთუ ურიგო შედეგი აჩვენა ძრავა და აეროდინამიკაშეცვლილი შარშანდელი „F2003GA“ ბოლიდით. სამდღიანი გავარჯიშების ბოლოს კი გამოაცხადა — მშვენიერ განწყობაზე ვარ და მეშვიდე ტიტულის მოგების დიდი იმედიც მაქვსო. რაც შეეხება კონკურენტებს, მიხაელი, მიუხედავად იმისა, რომ გაახარა საჩემპიონო ამბიციამოძალებულ ბარიკელოსთან კონტრაქტის გაგრძელებამ, უმთავრეს „მტრად“ არც მას თვლის და არც თავის უმცროს ძმას, რალფს, თანაუილიამსელ ხუან-პაბლო მონტოიასთან ერთად, არამედ 24 წლის ფინელ კიმი რაიკონენს („მაკლარენი“).

„სკუდერია ფერარი მარლბორომ“ ახალი მანქანა თავის ბაზაზე, მარანელოში წარადგინა. საჯინიბოს სპორტულ დირექტორ ჟან ტოდტის წინასაპრეზენტაციო რიხიანი განცხადებების მიუხედავად, „ფერარი F2004“ წინამორბედისგან ბევრად არ განსხვავდება და სულაც არ წარმოადგენს რევოლუციურ ვარიანტს. თუმც გუნდის ხელმძღვანელობის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შასის კონსტრუქციაში ფუნდამენტური ცვლილებები არ მომხდარა, პრაქტიკულად ყველა დეტალი ხელახლაა დაპროექტებულ-დამზადებული, რათა წლეულს შარშანდელი შეცდომები აღარ გამეორდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილ თვენახევარში კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს და შვიდ მარტს ავსტრალიაში „F2004“-ს ბევრად განსხვავებული შესახედაობა ჰქონდეს.

ფერარელთა 2004 წლის გეგმები ტრადიციულად მაქსიმალისტურია — აბსოლუტური ჩემპიონობის, ანუ პილოტ-გუნდურ ჩათვლაში ზედიზედ მეხუთედ პირველობის მოპოვება და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დარწმუნებულები არიან წარმატებაში.

გია ახალაძე



EURO HANDBALL 2004 SLOVENIA

ევროპის VI ჩემპიონატი. ჯაჭვები

სლოვენია. 22 იანვარი-1 თებერვალი

REUTERS ლიუბლიანიდან

ხორვატი პეტარ მეტლიჩიჩი ევროჩემპიონი შვედების ძლევას ხარობს

ჩემპიონებს ლამპიონები ჩაუქრეს

ესპანეთი 26:24 შვეიცარია
ხორვატია 28:26 შვედეთი
დანია 36:31 რუსეთი
საფრანგეთი 29:21 უნგრეთი
გერმანია 37:27 ჩეხეთი
სლოვენია 27:20 სერბეთი

სლოვენიაში მიმდინარე მშვენივრად ორგანიზებული და საკმაოდ დაძაბული ევროჩემპიონატის მეორე ჯგუფური ეტაპი არანაკლებ მღელვარედ დაიწყო, ვიდრე პირველი დამთავრდა. ევროპას ორადორი ჩემპიონი ჰყავს — შვედეთი (ოთხგზის) და რუსეთი — და გუშინ ორივეს მარცხი შეამთხვიეს მეტოქეებმა. შვედების უფორმობით ისარგებლეს თავადაც არცთუ სახარბიელოდ მობურთალმა და მანამდე რამდენიმე თამაშის ძლივს მომგებმა ხორვატებმა და მათი ძლევით ჯგუფს სათავეში ჩაუდგნენ.

საერთოდ ვერაფერი მოახერხეს მანამდე უძლეველმა რუსებმა. დანია არცთუ მრისხანე ნაკრებად ცნობილა ევროსახელბურთო სივრცეში, თუმც ვიკინგთა ჩამომვლებმა გუშინ თითქმის იდეალურად ითამაშეს დაცვაშიც და თავდასხმაშიც და უკვე პირველი ნახევრის შემდეგ შეუყენეს წყალი რანგით უფროს მეტოქეს — 19:15. რუსებს არც შემდეგ მისცემიათ ჩარხის შემოტრიალების შანსი. ისღა დარჩენოდათ ეღიარებინათ — დანიელები მოგებას იმსხურებდნენო და ალალად მიელოცათ.

დაუმარცხებელი სვლა განაგრძო მასპინძელმა სლოვენიამ, რომელსაც მორიგ მეტოქედ ყოფილი პატრონის მთავარმემკვიდრე სერბეთ-ჩერნიგორია გადაეყარა. აქ ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს, ციცქნა სლოვენიამ შვიდი ბურთით დააჩოქა ამხელა მეტოქე.

REUTERS ლიუბლიანიდან

უნგრელებმა ვერ მოაშთეს ფრანგი შემტევები და კიდეც განადგურდნენ

პირველი ჯგუფი

ხორვატია	3	0	0	84:80	6
დანია	2	0	1	85:77	4
რუსეთი	2	0	1	89:83	4
შვედეთი	1	0	2	88:82	2
ესპანეთი	1	0	2	75:78	2
შვეიცარია	0	0	3	68:89	0

მეორე ჯგუფი

სლოვენია	2	1	0	93:82	5
საფრანგეთი	2	1	0	81:70	5
გერმანია	1	1	1	92:82	3
უნგრეთი	1	1	1	80:83	3
სერბეთი	1	0	2	68:76	2
ჩეხეთი	0	0	3	85:104	0

საკალათბურთო კლუბი ბათუმის „ბასკო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ყოფილი დინამოელი

ზურაბ საკანდელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ხორვატები ათენისკენ მიცურავენ

რიო დე ჟანეიროში მიმდინარე შესარჩევ ოლიმპიურ ტურნირზე ათენისაკენ მიიწევს ხორვატ წყალბურთელთა ნაკრები. ხორვატი ტიპომილ ვრანიესი (თეთრი) და გერმანელი სორენ მაკებენი ბურთისთვის იბრძვიან. ხორვატებმა 3:2 მოიგეს, თენში კი შეეჯიბრის პირველი სამეული გაემგზავრება.



REUTERS რიო დე ჟანეიროდან



REUTERS ბუენოს აირესიდან

შესვედრა

კოლუმბიელი მომღერალი ხუანესი (მარცხივ), რომელსაც ხუთი „ლათინური გრემი“ მოუგია, ახლა ბუენოს აირესშია გასტროლებზე. იქ მას შეხვედრია თანამემამულე ფეხბურთელი მაურიციო სერნა, რომელიც არგენტინულ „ტალერესში“ თამაშობს. ამხანაგებს სახალხოდ უხალისიათ.

REUTERS ადელაიდიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდის დაღუპვა

მსოფლიო საკრიკეტო სამყარო გლოვობს ავსტრალიური კრიკეტის ლეგენდას, 48 წლის დევიდ უილიამ ჰუქსის გარდაცვალებას. „ცისფერსისხლა ოზი“, ანუ სულით ხორცამდე ავსტრალიური ხასიათის გამოხატულება, ჰუქსი შელბურნის ერთი ოტელის კარში ატეხილ ჩხუბს შეეწირა. ამ საქმეზე ჰოტელის ერთ-ერთი მცველია დაკავებული. ჰუქსს თავში მოხვდა ბლაგვი საგანი და მერე პოლიციამაც დაკავა, თუმცაღა ამას მოჰყვა გულის შეტევა და დიდ მოკრიკეტეს ვეღარ უშველეს. მისი განთქმული კეპი და ტაფელა კი ობლად დარჩა მინდორზე.

შესვენების გოგოები

ეს უკვე დამკვიდრებული წესია და ახლაც ასე იქნება, რომ ლინჟერ-საცვალთა მაჩვენებელ მოდელთა ორი შვიდქალა გუნდი ერთმანეთს ამერიკულ ბურთაობაში დაეჯიბრება სუპერბოულის შესვენებაზე. მოდელთა ორ გუნდს უკვე თავი მოუყრია ლოს ანჯელეს კოლიზეუმთან და იმათ შორისაა ტრეისი ბინგემიც (ცალკე). 37-ე სუპერბოულის ამ შესვენების შოუს მხოლოდ ფასიანი არხები გადასცემენ და თამაში, ანუ ჯახაჯუხი დადგმული კი არა, ნამდვილი იქნება.

REUTERS ლოს ანჯელესიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge